პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# კომუნისტი

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და
საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б)
ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

პარასკევი, 27 ოქტომბერი, 1944 წ. № 217 (7170). ფასი 20 კაპ.

# ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

## უმაღლესი მთავარსარდლისა

### საბჭოთა კავშირის მარშალ მალინოვსკის

**უკრაინის** მე-2 ფრონტის ჯარებმა დღეს, 25 ოქტომბერს, იერიშით დაიკავეს ქალაქები **სატუ-მარე** და **კარეი** — მოწინააღმდეგის თავდაცვის დიდმნიშვნელოვანი დასაყრდენი პუნქტები **ჩრდილოეთ ტრანსილვანიაში**. ამით ჩვენმა ჯარებმა დაამთავრეს ტრანსილვანიის განთავისუფლება მოწინააღმდეგისაგან.

ქალაქების **სატუ-მარეს** და **კარეის** დაკავებისა და **ტრანსილვანიის** განთავისუფლებისათვის ბრძოლებში თავი გამოიჩინეს გენერალ-ლეიტენანტ **ჟმაჩენკოს**, გენერალ-პოლკოვნიკ **ტროფიმენკოს**, გენერალ-მაიორ **მერკულოვის**, გენერალ-ლეიტენანტ **პეტრუშევსკის**, გენერალ-ლეიტენანტ **გორიაჩევის**, გენერალ-მაიორ **ტიმოშკოვის**, გენერალ-მაიორ **უმანსკის**, გენერალ-მაიორ **კოზირის**, პოლკოვნიკ **ბელოდედის**, პოლკოვნიკ **გოჩკოვის**, გენერალ-მაიორ **კინდიუხინის**, გენერალ-მაიორ **კონევის**, გენერალ-მაიორ **კარლოვის**, პოლკოვნიკ **ხოხლოვის**, პოლკოვნიკ **კოსტრიკინის**, პოლკოვნიკ **აბრამოვის**, პოლკოვნიკ **კორნაჩევის**, პოლკოვნიკ **ვინოგრადოვის**, პოლკოვნიკ **საუნინის** ჯარებმა; არტილერიის გენერალ-პოლკოვნიკ **ფომინის**, არტილერიის გენერალ-მაიორ **კარეცკის**, არტილერიის გენერალ-მაიორ **ლებედევის**, არტილერიის გენერალ-მაიორ **კოპოვიჩის** არტილერისტებმა; სატანკო ჯარების გენერალ-მაიორ **ბარაუსოვის**, პოლკოვნიკ **სტიზიკის** ტანკისტებმა; ავიაციის გენერალ-პოლკოვნიკ **გორიუნოვის**, ავიაციის გენერალ-ლეიტენანტ **სტეპიჩევის**, ავიაციის გენერალ-მაიორ **კამანინის**, პოლკოვნიკ **საპრიკინის**, პოლკოვნიკ **კლობუკოვის**, პოლკოვნიკ **სემენენკოს**, პოდპოლკოვნიკ **იუშჩენკოს**, პოდპოლკოვნიკ **კორიაკოვის**, პოდპოლკოვნიკ **ბერმანის**, მაიორ **კირეევის**, მაიორ **ლვოვსკის** მფრინავებმა; საინჟინრო ჯარების გენერალ-ლეიტენანტ **ცირლინის**, საინჟინრო ჯარების გენერალ-მაიორ **პეტროვის**, პოლკოვნიკ **კონიმაშის**, პოლკოვნიკ **ბუდარინის**, პოლკოვნიკ **პავლენკოს** მესანგრეებმა; კავშირგაბმულობის ჯარების გენერალ-ლეიტენანტ **ლეონოვის**, პოლკოვნიკ **გორელკინის**, პოლკოვნიკ **აგაფონოვის**, პოლკოვნიკ **კარპოვის** მეკავშირეებმა.

მოპოვებული გამარჯვების აღსანიშნავად შენაერთები და ნაწილები, რომლებმაც ყველაზე მეტად გამოიჩინეს თავი ქალაქების **სატუ-მარეს**, **კარეის** დაკავებისა და **ტრანსილვანიის** განთავისუფლებისათვის ბრძოლებში, წარდგენილ იქნან „**ტრანსილვანიის**“ სახელწოდების მისანიჭებლად და ორდენებით დასაჯილდოებლად.

დღეს, 25 ოქტომბერს, 21 საათზე ჩვენი სამშობლოს დედაქალაქი **მოსკოვი** სამშობლოს სახელით ორას ოცდათოთხი ქვემეხის ოცი საარტილერიო ზალპით სალუტს აძლევს უკრაინის მე-2 ფრონტის მამაც ჯარებს, რომლებმაც დაიკავეს ქალაქები **სატუ-მარე**, **კარეი** და გაათავისუფლეს **ტრანსილვანია**.

ჩინებული საბრძოლო მოქმედებისათვის **მადლობას ვუცხადებ** თქვენს ხელმძღვანელობაში მყოფ ჯარებს, რომლებიც მონაწილეობდნენ **ტრანსილვანიის** განთავისუფლებისათვის ბრძოლებში.

სამარადისო დიდება გმირებს, რომლებიც დაეცნენ ჩვენი სამშობლოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის ბრძოლებში!

სიკვდილი გერმანელ დამპყრობლებს!

**უმაღლესი მთავარსარდალი**
**საბჭოთა კავშირის მარშალი ი. სტალინი**

1944 წლის 25 ოქტომბერი.

---

# ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

## უმაღლესი მთავარსარდლისა

### გენერალ-პოლკოვნიკ პეტროვს

**უკრაინის** მე-4 ფრონტის ჯარებმა დღეს, 26 ოქტომბერს, ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკის ტერიტორიაზე დაიკავეს იმიერკარპატების უკრაინის სამრეწველო ცენტრი ქალაქი **მუკაჩევო** — კომუნიკაციათა დიდმნიშვნელოვანი კვანძი და მოწინააღმდეგის თავდაცვის დასაყრდენი პუნქტი კარპატების სამხრეთ შტოებთან.

ქალაქ **მუკაჩევოს** დაკავებისათვის ბრძოლებში თავი გამოიჩინეს გენერალ-ლეიტენანტ **ჟურავლიოვის**, გენერალ-მაიორ **გასტილოვიჩის**, გენერალ-მაიორ **დუდარევის**, გენერალ-მაიორ **მელნიკოვის**, პოლკოვნიკ **ტიტენკოს**, პოლკოვნიკ **ჩორნის**, პოლკოვნიკ **აკულოვის**, პოდპოლკოვნიკ **პოდოპრიგორას**, პოდპოლკოვნიკ **ფედოროვის**, მაიორ **ანკუდინოვის**, კაპიტან **ჩეპურკოს** ჯარებმა; არტილერიის გენერალ-ლეიტენანტ **კარიოფილის**, პოლკოვნიკ **იაკოვლევის**, პოლკოვნიკ **ბოგატირევის**, პოლკოვნიკ **შარაპოვის**, პოლკოვნიკ **პარნოვსკის**, პოდპოლკოვნიკ **ნიუხალოვის**, პოდპოლკოვნიკ **ტერეხინის**, მაიორ **კოდიაკოვის**, მაიორ **ჟუიკოს** არტილერისტებმა; სატანკო ჯარების გენერალ-მაიორ **სოლოვიოვის**, პოლკოვნიკ **სეროვის** ტანკისტებმა; ავიაციის გენერალ-ლეიტენანტ **უდანოვის** მფრინავებმა; საინჟინრო ჯარების გენერალ-მაიორ **კოლესნიკოვის**, პოლკოვნიკ **ბარაშის**, პოლკოვნიკ **სტონოგას**, პოლკოვნიკ **ბუხარევის** მესანგრეებმა; კავშირგაბმულობის ჯარების გენერალ-ლეიტენანტ **მატვეევის**, მაიორ **კოროტკოვის** მეკავშირეებმა.

მოპოვებული გამარჯვების აღსანიშნავად შენაერთები და ნაწილები, რომლებმაც ყველაზე მეტად გამოიჩინეს თავი ქალაქ **მუკაჩევოს** დაკავებისათვის ბრძოლებში, წარდგენილ იქნან „**მუკაჩევოს**“ სახელწოდების მისანიჭებლად და ორდენებით დასაჯილდოებლად.

დღეს, 26 ოქტომბერს, 21 საათზე ჩვენი სამშობლოს დედაქალაქი **მოსკოვი** სამშობლოს სახელით ას ოცდათოთხი ქვემეხის თორმეტი საარტილერიო ზალპით სალუტს აძლევს უკრაინის მე-4 ფრონტის მამაც ჯარებს, რომლებმაც დაიკავეს ქალაქი **მუკაჩევო**.

ჩინებული საბრძოლო მოქმედებისათვის **მადლობას ვუცხადებ** თქვენს ხელმძღვანელობაში მყოფ ჯარებს, რომლებიც მონაწილეობდნენ ქალაქ **მუკაჩევოს** განთავისუფლებისათვის ბრძოლებში.

სამარადისო დიდება გმირებს, რომლებიც დაეცნენ ჩვენი სამშობლოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის ბრძოლებში!

სიკვდილი გერმანელ დამპყრობლებს!

**უმაღლესი მთავარსარდალი**
**საბჭოთა კავშირის მარშალი ი. სტალინი**

1944 წლის 26 ოქტომბერი.

---

## ჩაის მწვანე ფოთლის დამზადების წლიური გეგმა შესრულებულია

საქართველოს სს რესპუბლიკის კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა 1944 წლის 25 ოქტომბრისათვის შეასრულეს ჩაის მწვანე ფოთლის კრეფისა და დამზადების მთავრობის მიერ დაწესებული წლიური გეგმა. მოკრეფილია და ჩაის ფაბრიკებს გადასამუშავებლად ჩაბარდათ 50.000 ტონაზე მეტი ჩაის ფოთოლი.

---

# ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

## უმაღლესი მთავარსარდლისა

### არმიის გენერალ მერეცკოვს

**კარელიის** ფრონტის ჯარებმა, რომლებიც გერმანელთა ჯარებს სდევნიან, გადალახეს **ნორვეგიის** სახელმწიფო საზღვარი და, იმიერპოლარეთის ძნელ პირობებში, დღეს, 25 ოქტომბერს, დაიკავეს ქალაქი **კირკენესი** — დიდმნიშვნელოვანი ნავსადგური ბარენცის ზღვაში.

ქალაქ **კირკენესის** დაკავებისათვის ბრძოლებში თავი გამოიჩინეს გენერალ-ლეიტენანტ **შჩერბაკოვის**, გენერალ-მაიორ **აბსალიამოვის**, გენერალ-მაიორ **ნიკულსკის**, გენერალ-მაიორ **კოროტკოვის**, გენერალ-მაიორ **ჟუკოვის**, პოლკოვნიკ **სოლოვიოვის**, პოლკოვნიკ **გრებენკინის**, გენერალ-მაიორ **პანინის**, პოლკოვნიკ **კავერინის**, პოლკოვნიკ **კოშჩიენკოს**, პოლკოვნიკ **ლისენკოს**, პოლკოვნიკ **კალინოვსკის**, გენერალ-მაიორ **ხუდალოვის**, პოლკოვნიკ **გლაკის**, პოლკოვნიკ **ამვროსოვის**, გენერალ-მაიორ **სოპენკოს**, პოლკოვნიკ **სტარცევის**, პოლკოვნიკ **ნიკანდროვის**, პოდპოლკოვნიკ **ემენოვის**, პოლკოვნიკ **კრილოვის**, პოლკოვნიკ **რასოხინის**, პოდპოლკოვნიკ **ციპიშევის**, პოდპოლკოვნიკ **პიდუსტის**, მაიორ **პასკოს**, პოდპოლკოვნიკ **ლაზარევის**, პოდპოლკოვნიკ **ჩერნევსკის**, პოდპოლკოვნიკ **პოვარენკოვის**, პოდპოლკოვნიკ **კოპილას** ჯარებმა; 1-ლი რანგის კაპიტან **კუზმინის**, 1-ლი რანგის კაპიტან **კლევენსკის**, მე-2 რანგის კაპიტან **კორშუნოვიჩის**, მე-3 რანგის კაპიტან **ზიუზინის** მეზღვაურებმა; არტილერიის გენერალ-ლეიტენანტ **დეგტიარევის**, არტილერიის გენერალ-მაიორ **პანიტკინის**, პოლკოვნიკ **იაროსლავცევის**, პოლკოვნიკ **გრიგორიევის**, პოლკოვნიკ **ბანდიუკევიჩის**, პოლკოვნიკ **მანიაკინის**, პოლკოვნიკ **ლიხუტას**, პოლკოვნიკ **ხრამოვის**, პოდპოლკოვნიკ **გოლდიხოვის**, პოდპოლკოვნიკ **ფეტისოვის**, პოდპოლკოვნიკ **ერესკოს**, პოდპოლკოვნიკ **შაპიროს**, პოდპოლკოვნიკ **შეპელის**, პოდპოლკოვნიკ **ზუბარევის**, პოდპოლკოვნიკ **კრივოშეევის**, მაიორ **გოლუბევის**, მაიორ **ედემსკის**, მაიორ **ვაკუროვის** არტილერისტებმა; სატანკო ჯარების გენერალ-ლეიტენანტ **კონონოვის**, პოლკოვნიკ **სოკოლოვის**, პოლკოვნიკ **იურენკოვის**, პოდპოლკოვნიკ **სუჩკოვის**, პოდპოლკოვნიკ **ლეშჩენკოს**, პოდპოლკოვნიკ **კორშუნოვის**, პოდპოლკოვნიკ **ტერენტიევის**, პოდპოლკოვნიკ **ტარხილინის**, პოდპოლკოვნიკ **არშინევსკის** ტანკისტებმა; ავიაციის გენერალ-ლეიტენანტ **სოკოლოვის**, ავიაციის გენერალ-მაიორ **პრეობრაჟენსკის**, პოლკოვნიკ **უდონინის**, პოლკოვნიკ **ლარიუშკინის**, პოლკოვნიკ **ფენოგენოვის**, პოლკოვნიკ **კალუგინის**, პოლკოვნიკ **მინაევის**, პოლკოვნიკ **პუშკარევის** მფრინავებმა; საინჟინრო ჯარების გენერალ-ლეიტენანტ **ხრენოვის**, პოლკოვნიკ **ლეიჩიკის**, პოლკოვნიკ **არშბას**, პოდპოლკოვნიკ **ზახაროვის** მესანგრეებმა; კავშირგაბმულობის ჯარების გენერალ-ლეიტენანტ **დობიკინის**, პოლკოვნიკ **ექიმოვის**, სახელმწიფო უშიშროების მაიორ **გავრილოვის** მეკავშირეებმა.

მოპოვებული გამარჯვების აღსანიშნავად შენაერთები და ნაწილები, რომლებმაც ყველაზე მეტად გამოიჩინეს თავი ქალაქ **კირკენესის** დაკავებისათვის ბრძოლებში, წარდგენილ იქნან „**კირკენესის**“ სახელწოდების მისანიჭებლად და ორდენებით დასაჯილდოებლად.

დღეს, 25 ოქტომბერს, 22 საათზე ჩვენი სამშობლოს დედაქალაქი **მოსკოვი** სამშობლოს სახელით ორას ოცდათოთხი ქვემეხის ოცი საარტილერიო ზალპით სალუტს აძლევს კარელიის ფრონტის მამაც ჯარებს, რომლებმაც დაიკავეს ქალაქი **კირკენესი**.

ჩინებული საბრძოლო მოქმედებისათვის **მადლობას ვუცხადებ** თქვენს ხელმძღვანელობაში მყოფ ჯარებს, რომლებიც მონაწილეობდნენ ქალაქ **კირკენესის** დაკავებისათვის ბრძოლებში.

სამარადისო დიდება გმირებს, რომლებიც დაეცნენ ჩვენი სამშობლოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის ბრძოლებში!

სიკვდილი გერმანელ დამპყრობლებს!

**უმაღლესი მთავარსარდალი**
**საბჭოთა კავშირის მარშალი ი. სტალინი**

1944 წლის 25 ოქტომბერი.

---

# ბ რ ძ ა ნ ე ბ უ ლ ე ბ ა

## სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

### არმიის გენერალ კ. ა. მერეცკოვისათვის საბჭოთა კავშირის მარშლის სამხედრო წოდების მინიჭების შესახებ

არმიის გენერალ კირილე ათანასეს-ძე მერეცკოვს მიენიჭოს **საბჭოთა კავშირის მარშლის სამხედრო წოდება**.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
**მ. კალინინი.**

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
**ა. გორკინი.**

მოსკოვი, კრემლი.
1944 წლის 26 ოქტომბერი.

---

## ი. ე. პეტროვისა და მ. ა. პურკაევისათვის არმიის გენერლის სამხედრო წოდების მინიჭების შესახებ

### სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილება

სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:
მიენიჭოთ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1940 წლის 7 მაისის ბრძანებულებით დაწესებული **არმიის გენერლის სამხედრო წოდება**:
ივანე ექვთიმეს-ძე პეტროვს
მაქსიმე ალექსის-ძე პურკაევს.

სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე
**ი. სტალინი.**

სსრ კავშირის სახკომსაბჭოს საქმეთა მმართველი
**ი. ჩადაევი.**

მოსკოვი, კრემლი.
1944 წლის 26 ოქტომბერი.

---

მესტია, ზემო სვანეთის რაიონი

## საქართველოს კ. პ. (ბ) ზემო სვანეთის რაიკომის მდივანს ამხ. ვეკუას მშრომელთა დეპუტატების რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარეს ამხ. ფარჯიანს

გადაეცით ჩემი ძმური სალამი და წითელი არმიის მადლობა ზემო სვანეთის რაიონის მშრომელებს, რომლებმაც შეაგროვეს 2.459.000 მანეთი წყალქვეშა ნავ „საბჭოთა სვანეთის“ ასაგებად. რაიონის მშრომელთა სურვილი შესრულებული იქნება.

**ი. სტალინი**

---

## სსრ კავშირსა და იტალიას შორის სრული დიპლომატიური ურთიერთობის დამყარების შესახებ

25 ოქტომბერს საბჭოთა მთავრობის წარმომადგენელმა იტალიის მთავრობასთან მ. ა. კოსტილიოვმა იტალიის საგარეო საქმეთა მინისტრს განუცხადა, რომ საბჭოთა მთავრობამ გადასწყვიტა სრული დიპლომატიური ურთიერთობა დაამყაროს იტალიასთან.

საბჭოთა მთავრობამ სთხოვა იტალიის მთავრობას იმის თანხმობა, რომ მ. ა. კოსტილიოვი დაინიშნოს სსრ კავშირის საგანგებო და სრულუფლებიან ელჩად იტალიაში.

**სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატის საინფორმაციო ბიურო.**

---

## ა. ე. ბოგომოლოვი — სსრ კავშირის ელჩი საფრანგეთში

**პარიზი,** 26 ოქტომბერი. (საკდესი). როგორც ცნობილია, თავის განცხადებაში საფრანგეთის რესპუბლიკის დროებითი მთავრობის ცნობის შესახებ საბჭოთა მთავრობამ სურვილი გამოსთქვა, რომ ა. ე. ბოგომოლოვი, რომელიც საბჭოთა კავშირის წარმომადგენელი იყო საფრანგეთის ნაციონალური განთავისუფლების კომიტეტთან, დაინიშნულიყო საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩის პოსტზე საფრანგეთში.

საფრანგეთის დროებითმა მთავრობამ გამოსთქვა თავისი თანხმობა იმაზე, რომ ა. ე. ბოგომოლოვი დაინიშნოს სსრ კავშირის საგანგებო და სრულუფლებიან ელჩად საფრანგეთში.

---

# ავამაღლოთ ლექციური პროპაგანდის ხარისხი

ბოლშევიკების პარტია, ამხანაგი სტალინი უდიდეს ყურადღებას უთმობენ ჩვენი კადრების მარქსისტულ-ლენინური თეორიით შეიარაღების საქმეს იმისათვის, რომ მკაფიოდ გავერკვეთ თანამედროვე ვითარებაში, სწორად განვუმარტოთ ხალხს მიმდინარე მომენტის საბრძოლო ამოცანები და დავრაზმოთ მშრომელთა ფართო მასები ამ ამოცანების გადასაწყვეტად, საჭიროა მარქსისტულ-ლენინური თეორიის ცოდნა. მარქსიზმ-ლენინიზმი გვასწავლის საზოგადოებრივი ცხოვრების განვითარების კანონებს, კიდევ უფრო განგვიმტკიცებს საბჭოთა სახელმწიფოს უძლეველობისა და ჩვენი სამართლიანი საქმის გამარჯვების რწმენას. ამიტომ შეუნელებელი ზრუნვა ჩვენი კადრების იდეურ-პოლიტიკური აღზრდისა და პროპაგანდის სისტემატური გაუმჯობესებისათვის წარმოადგენს პარტიული ორგანიზაციების ყოველდღიურ საბრძოლო ამოცანას.

სამამულო ომის პირობებში ლექციურმა პროპაგანდამ ახალი გაქანება ჰპოვა. კარგად მოწყობილი, შინაარსით ღრმა და ფორმით მიმზიდველი ლექციები დიდ დახმარებას უწევენ ჩვენს კადრებს, რომლებიც დამოუკიდებლად სწავლობენ მარქსიზმ-ლენინიზმს.

ლექციური პროპაგანდის დარგში სერიოზული მუშაობა გასწიეს და მდიდარი გამოცდილება დააგროვეს თბილისის პარტიულმა ორგანიზაციებმა. საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტი ლექციების თემატიკის შერჩევისას ყოველთვის ითვალისწინებს პარტიული ორგანიზაციების, პარტიული და სამეურნეო აქტივის მოთხოვნილებას. სექტემბერში თბილისის კომიტეტის გეგმით 152 ლექცია ჩატარდა. თემატიკა მრავალფეროვანი იყო.

თბილისში ამჟამად 60-ზე მეტი შტატის და შტატგარეშე ლექტორი ეწევა ლექციურ პროპაგანდას. სალექციო მუშაობაში ჩაბმული არიან ხელმძღვანელი პარტიული მუშაკები, სხვადასხვა დარგის სპეციალისტები, აკადემიკოსები, პროფესორები და დოცენტები.

საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტის ლექტორთა ჯგუფი დიდ დახმარებას უწევს ლექტორებს ლექციის ხარისხის გაუმჯობესებაში. აღიზარდნენ ლექტორთა ახალი კადრები, რომლებიც ახლა წარმატებით ართმევენ თავს ამ პასუხსაგებ მოვალეობას.

სალექციო მუშაობაში მნიშვნელოვანი წარმატებები აქვს ბევრ საქალაქო კომიტეტსა და რაიკომს. მაგრამ არის სერიოზული ნაკლოვანებებიც.

უპირველეს ყოვლისა, უნდა აღინიშნოს, რომ ლექციების ნაწილი ზერელე, სქემატურია, ვერ განმარტავს თემის მთავარ საკითხებს, დამაჯერებელი არ არის, ვერ აკმაყოფილებს მსმენელებს. საქართველოს კ. პ. (ბ) სტალინირის საქალაქო კომიტეტის ლექტორმა ამხ. ჯიოევმა ლექცია თემაზე — „იტალია გერმანიის წინააღმდეგ ომში“ — 15 წუთში დაამთავრა. გასაგებია, თუ როგორ გააშუქებდა იგი ამ თემას. საქართველოს კ. პ. (ბ) ჭიათურის საქალაქო კომიტეტის ლექტორმა ამხ. ჯაოშვილმა ლექციაში თემაზე „მარქსიზმის სამი წყარო და სამი შემადგენელი ნაწილი“ ვერ განმარტა თემის ვერც ერთი ძირითადი საკითხი. კიდევ მეტი. მან არასწორად, დამახინჯებულად მოიყვანა ციტატები. ასეთი შემთხვევები სხვაგანაც გვხვდება.

რით აიხსნება ლექციების დაბალი ხარისხი?

იმით, რომ ზოგიერთი ლექტორი პასუხისმგებლობით არ ეკიდება თავის მოვალეობას, სერიოზულად არ მუშაობს მასალებზე, გულდასმით არ ამზადებს თემას, მოუმზადებელი გამოდის აუდიტორიაში.

იმით, რომ პარტიული ორგანიზაციები, საქალაქო და რაიონული კომიტეტები ყოველთვის ვერ უწევენ ლექტორს საჭირო დახმარებას და კონტროლს, არ ამოწმებენ წაკითხული ლექციის ხარისხს, სისტემატურად არ ისმენენ ბიუროზე საკითხებს ლექტორთა ჯგუფის მუშაობის შესახებ.

იმით, რომ მთელ რიგ რაიონულ და საქალაქო კომიტეტებთან არსებული ლექტორთა ჯგუფი სუსტად მუშაობს. არ ხდება წაკითხვამდე ლექციების სათანადო განხილვა — არ წარმოებს ლექტორთა ურთიერთდასწრება და წაკითხული ლექციების გარჩევა ჯგუფში.

ადგილი აქვს ნაკლოვანებებს ლექციების ორგანიზაციის დარგშიც. მსმენელთა დონეს და მოთხოვნას ყოველთვის სათანადოდ ვერ ითვალისწინებენ. ხშირად ლექციის თემა მსმენელთათვის წინასწარ ცნობილი არ არის. გვხვდება ლექციების ჩაშლისა და გადადების შემთხვევები.

კარგად მომზადებული და შინაარსიანი ლექციები ფართო აუდიტორიას იზიდავენ. ლექტორი არ უნდა დაკმაყოფილდეს მიღწეულით. იგი მუდამ უნდა ამაღლებდეს ლექციის იდეურ-თეორიულ დონეს. მხოლოდ მაშინ დააკმაყოფილებს ლექტორი მასების გაზრდილ მოთხოვნილებას.

რა არის საჭირო ლექციების ხარისხის ამაღლებისათვის?

პირველი, პარტიის რაიონულმა და საქალაქო კომიტეტებმა ყოველდღიური ოპერატიული ხელმძღვანელობა უნდა გაუწიონ ლექტორთა ჯგუფებს, შეავსონ ისინი კვალიფიციური კადრებით, რეგულარულად განიხილონ ბიუროს სხდომებზე ლექციური პროპაგანდის საკითხები და განსაკუთრებული ყურადღება დაუთმონ ლექციების ხარისხის გაუმჯობესებას.

მეორე, უნდა მივაღწიოთ იმას, რომ ლექტორთა ჯგუფები ნამდვილად წარმოადგენდნენ შემოქმედებით კოლექტივს, სადაც მოხდება ყველა ახლად დამუშავებული თემის საფუძვლიანი განხილვა. სუსტად მომზადებული ლექციები წასაკითხავად არ უნდა დავუშვათ. ამასთან პრაქტიკაში უნდა შემოვიღოთ ლექტორთა ურთიერთდასწრება და წაკითხული ლექციის გარჩევა ჯგუფის თათბირზე.

მესამე, საჭიროა ყოველდღიური ზრუნვა ლექციის თემატიკის განახლებისა და გაფართოებისათვის. ლექციების დამუშავების დროს ყოველთვის უნდა გავითვალისწინოთ პარტიული და საბჭოთა აქტივის მოთხოვნილებანი. ლექციები სისტემატურად უნდა იკითხებოდეს ამხანაგ სტალინის წიგნზე „საბჭოთა კავშირის დიდი სამამულო ომის შესახებ“, „საკავშირო კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსზე“ მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსთა ნაწარმოებებზე, ისტორიის, ფილოსოფიის, პოლიტიკური ეკონომიის, ლიტერატურის საკითხებზე, სამამულო ომის მიმდინარე მომენტსა და საერთაშორისო მდგომარეობაზე, საბუნებისმეტყველო-მეცნიერულ თემებზე.

მეოთხე, თვითეულ ლექტორს უნდა მოვთხოვოთ პასუხისმგებლობით მოეკიდოს აღებულ თემას და საფუძვლიანად მოამზადოს იგი. ამ საქმეში მას ყოველმხრივ უნდა შევუწყოთ ხელი, მივცეთ საჭირო დრო, ლიტერატურა, გავუწიოთ კონსულტაცია.

უკეთესად უნდა მოვაწყოთ ლექციები ორგანიზაციული მხრივ. შევარჩიოთ აუდიტორია, დროულად ვაცნობოთ მსმენელებს ლექციის თემა და ჩატარების დღე, არ დავუშვათ ლექციის ჩაშლა.

ასეთია ამოცანები, რომელთა განხორციელებით პარტიის საქალაქო და რაიონული კომიტეტები შესძლებენ გააუმჯობესონ სალექციო მუშაობის ხარისხი, უკეთ დაეხმარონ ჩვენს კადრებს მარქსისტულ-ლენინური თეორიის შესწავლის საქმეში.

ყოველთვის კარგად უნდა გვახსოვდეს დიდი **სტალინის** მითითება იმის შესახებ, რომ რაც უფრო მაღალია ჩვენი ადამიანების იდეურ-პოლიტიკური მომზადება და რაც უკეთ ერკვევიან ისინი ქვეყნის საშინაო და საერთაშორისო ვითარებაში, მით უფრო „ექნებათ უნარი გადასჭრან სერიოზული შეცდომების დაუშვებლად ქვეყნის ხელმძღვანელობის საკითხები“, მით უფრო ნაყოფიერი იქნება მათი მუშაობა სამამულო ომის პირობებში ჩვენი საბოლოო გამარჯვების დასაჩქარებლად.

---

## ამხ. ჟდანოვმა მიიღო საზოგადოება „ფინეთ-საბჭოთა კავშირის“ პრეზიდიუმის წევრები

**ჰელსინკი,** 22 ოქტომბერი. (საკდესი). 20 ოქტომბერს საღამოს მოკავშირეთა საკონტროლო კომისიის თავმჯდომარემ გენერალ-პოლკოვნიკმა ა. ა. ჟდანოვმა კომისიის პოლიტიკური მრჩევლის ორლოვის თანდასწრებით მიიღო საზოგადოება „ფინეთ-საბჭოთა კავშირის“ პრეზიდიუმის წევრები — სახელმწიფო მრჩეველი იუხო პაასიკივი, დოქტორი ხელო, მრჩეველი მრეწველობის საკითხებში სერგელიუსი, დოქტორი რუუტუ, სამედიცინო მეცნიერებათა კანდიდატი რიუემია და რედაქტორი რიკა. პაასიკივიმ დაახასიათა საზოგადოების მიზნები და ილაპარაკა ფინეთის საზოგადოებრივი აზრის შეხედულებებზე. ამხ. ჟდანოვმა კმაყოფილება გამოთქვა იმის გამო, რომ საზოგადოებას თავისი მუშაობით განზრახული აქვს ხელი შეუწყოს საკონტროლო კომისიის წინაშე მდგომი მიზნების მიღწევას.

---

## ჩეხოსლოვაკიის განთავისუფლებული ტერიტორიისათვის ჩეხოსლოვაკიის მთავრობის მიერ შედგენილი დელეგაციის მეთაურის განცხადება

**ლვოვი,** 24 ოქტომბერი (საკდესი). დღეს ლვოვში ჩამოვიდა ჩეხოსლოვაკიის მთავრობის დელეგაცია განთავისუფლებული ტერიტორიისათვის. დელეგაციას მეთაურობს ჩეხოსლოვაკიის მთავრობის რწმუნებული, მინისტრი ბ-ნი ფრანტიშეკ ნემეცი. მასთან ერთად ჩამოვიდნენ სამხედრო მისიის ხელმძღვანელი დივიზიის გენერალი ანტონინ ნიჟბორსკი, ჩეხოსლოვაკიის სახელმწიფო საბჭოს წევრები ბ-ნი ბ. ლაუშმანი, ბ-ნი ი. ვალო, ბ-ნი ფ. უგლირჟი და მონსენიერი ფ. გალა, აგრეთვე რწმუნებულის თანამშრომლები.

საკდესის კორესპონდენტთან საუბარში ბ-ნმა ფრანტიშეკ ნემეცმა სთქვა:

— გენერალ პეტროვის მამაცი ჯარების წარმატებითი მოქმედებით განთავისუფლებულია ჩეხოსლოვაკიის მთელი რიგი რაიონები. გერმანელები განდევნილი არიან იასინიდან, რახოვიდან, დუბოვიდან და სხვა ქალაქებიდან. ახლა, თითქმის ხუთი წლის განშორების შემდეგ, ჩვენ კვლავ შევდივართ ჩვენს სამშობლო მიწა-წყალზე. ჩვენი უახლოესი ამოცანებია — გავეცნოთ ადგილობრივი მოსახლეობის მდგომარეობას, შეძლებისდაგვარად აღვადგინოთ სამოქალაქო ადმინისტრაცია, მოვაგვაროთ მომარაგება, რაც მთავარია, გამოვარკვიოთ, რით შეუძლიათ ჩეხოსლოვაკიის განთავისუფლებულ რაიონებს დაეხმარონ წითელ არმიას მის ბრძოლაში საერთო მტრის წინააღმდეგ, და დაუყოვნებლივ მოვაწყოთ ეს დახმარება.

ვტოვებ რა საბჭოთა კავშირის ფარგლებს, ჩემი ქვეყნის მთელი ხალხის—ჩეხების, სლოვაკების, კარპატის უკრაინელების სახელით მხურვალე მადლობას ვუძღვნი საბჭოთა კავშირის მარშალ იოსებ სტალინს, წითელ არმიას ჩემი მრავალტანჯული ქვეყნის განთავისუფლებისათვის. ჩეხოსლოვაკიის ხალხები არასოდეს არ დაივიწყებენ იმას, რაც გააკეთა მათთვის დიდმა მეზობელმა—საბჭოთა რუსეთმა. ჩვენ ყოველთვის მადლობელი ვიქნებით ჩვენდამი გაწეული ძმური დახმარებისათვის.

ჩეხოსლოვაკიის განთავისუფლება ეს არის ახლა იწყება. წინ არის: უჟგოროდი, კოშიცე, ბრატისლავა, ბრნო, პრაღა. მე დარწმუნებული ვარ, რომ ჩეხოსლოვაკია მალე ზეიმით იდღესასწაულებს თავის სრულ განთავისუფლებას გერმანელი დამპყრობლებისაგან. სისხლით განმტკიცებული ძმური მეგობრობა, რომელიც აკავშირებს ჩვენს ორ ხალხს — რუსებსა და ჩეხებს — მომავალში კიდევ უფრო განმტკიცდება და განვითარდება და შესანიშნავ ნაყოფს მოიტანს.

ნაზდარ—ჩვენს განმათავისუფლებელს მარშალ სტალინს!

საქართველოს
ეროვნული
ბიბლიოთეკა

კომუნისტი

პარასკევი, 27 ოქტომბერი, 1944 წ. № 217 (7170).

# ᲬᲘᲗᲔᲚᲘ ᲐᲠᲛᲘᲘᲡ ᲑᲠᲬᲧᲘᲜᲕᲐᲚᲔ ᲒᲐᲛᲐᲠᲯᲕᲔᲑᲐᲜᲘ

საბჭოთა იარაღის გამარჯვებათა მატიანეში ყოველდღე იწერება ახალი ბრწყინვალე ფურცელი. წითელმა არმიამ უმაღლესი მთავარსარდლის საბჭოთა კავშირის მარშალ ამხანაგ სტალინის ბრძნული ხელმძღვანელობით თავისი საბრძოლო დროშები ახალი ბრწყინვალე გამარჯვებებით შემოსა. ბუქარესტისა და სოფიის ქუჩებში ტრიუმფალური მარშის შემდეგ წითელმა არმიამ იუგოსლავიის სახალხო-განმათავისუფლებელი არმიის ჯარებთან ერთად გასწმინდა გერმანელ ფაშისტ დამპყრობთაგან იუგოსლაველი ხალხის დედაქალაქი ბელგრადი.

ამ დღეებში ჩვენი ჯარები მხეცის ბუნაგში — აღმოსავლეთ პრუსიის ფარგლებში შეიჭრნენ. გუშინ გამარჯვების სალუტთა გრიალმა გვამცნო ტრანსილვანიის განთავისუფლების დამთავრება, ნორვეგიის სახელმწიფო საზღვარზე გადასვლა და იმიერპოლარეთის ძნელ პირობებში ქალაქ კირკენესის, ბარენცის ზღვაში დიდმნიშვნელოვანი ნავსადგურის, დაკავება.

წითელი არმიის ახალი ბრწყინვალე გამარჯვებანი დიდების ისეთი დაფნის გვირგვინებით ამკობენ მას, როგორიც ისტორიას არ ახსოვს. რომელ არმიას მოუპოვებია გამარჯვებანი ერთსა და იმავე დროს სამხრეთის მზის მცხუნვარე სხივებქვეშ და იმიერპოლარეთის უკაცრიელ სივრცეებში? ასეთი არმია არ ყოფილა. ეს შესძლო მხოლოდ წითელმა არმიამ — მრავალმილიონიანი საბჭოთა ხალხის პირმშომ, ლენინ-სტალინის დიადი პარტიის პირმშომ. ამ გამარჯვებათა მოპოვება შესძლო მხოლოდ ჩვენმა არმიამ, რომელსაც ერთსულოვნად ეხმარება მთელი ხალხი.

წითელი არმიის სწრაფმა და მძლავრმა დარტყმებმა ევროპის სამხრეთ-აღმოსავლეთში ძირიანად შესცვალეს სტრატეგიული ვითარება გაერთიანებული ერების სასარგებლოდ. რუმინეთი და ბულგარეთი ახლა ფაშისტური გერმანიის წინააღმდეგ იბრძვიან. უნგრეთი კატასტროფის პირას არის დაყენებული. დაემხო ევროპის სამხრეთ-აღმოსავლეთში დამყარებული სისხლიანი ჰიტლერული „ახალი წესრიგი". ოკუპირებული ქვეყნების დამონებული ხალხები გამხეცებულ გერმანელ დამპყრობთა წინააღმდეგ გადამწყვეტი ბრძოლისათვის ირაზმებიან.

წითელმა არმიამ მტერი განდევნა საბჭოთა კავშირის თითქმის მთელი ტერიტორიიდან და ეხმარება სხვა ხალხებს ჰიტლერული ტირანიის უღლიდან განთავისუფლებაში.

„...ჩვენ უნდა გავათავისუფლოთ გერმანული ტყვეობიდან ჩვენი ძმები პოლონელები, ჩეხოსლოვაკები და ჩვენი მოკავშირე სხვა ხალხები დასავლეთ ევროპისა, რომლებიც ჰიტლერული გერმანიის ქუსლქვეშ იმყოფებიან",—აღნიშნა ამხანაგმა სტალინმა რამდენიმე თვის წინათ. ახლა წითელი არმია ასრულებს ამ უაღრესად კეთილშობილურ ამოცანას.

წითელი არმიის ძლევამოსილი ბრძოლები იუგოსლავიის, ჩეხოსლოვაკიის, პოლონეთის, ნორვეგიის მიწა-წყალზე აღტაცებულ გამოძახილს პოულობენ და ჰპოვებენ მილიონობით საბჭოთა ადამიანისა და მსოფლიოს ყველა თავისუფლებისმოყვარე ხალხთა გულში.

ძნელია გადაჭარბებით შევაფასოთ უკანასკნელ დღეებში წითელი არმიის მიერ მოპოვებულ საბრძოლო წარმატებათა მნიშვნელობა. ბელგრადის, დებრეცენის, ტრანსილვანიის, აღმოსავლეთ პრუსიის, ჩეხოსლოვაკიის, ნორვეგიის რაიონები გაფთრებული და მრავალი დღის ბრძოლების ასპარეზი იყო. ამ ბრძოლებში მონაწილეობდა ათასობით ქვემეხი, ათასობით თვითმფრინავი; სწარმოებდა უდიდესი სატანკო ბრძოლები. მჭიდრო თანამოქმედებით მიჰქონდათ მტერზე იერიში საბჭოთა ტანკებს, ცხენოსან ჯარს, ავიაციასა და ქვეითს ჯარს. მოწინააღმდეგე ცდილობდა შეეჩერებინა ჩვენი წინსვლა და ბრძოლაში გამოჰყავდა სატანკო დივიზიები, რომლებსაც ჰაერიდან ავიაცია ეხმარებოდა. მაგრამ საბჭოთა გენერლების სამხედრო ხელოვნებამ, ოფიცერთა დიდმა ცოდნამ და რიგითი მეომრების საბრძოლო ოსტატობამ ყველგან უზრუნველჰყო გამარჯვება.

მოქნილი მანევრის ნაცადი ტაქტიკა ფართოდ იყო გამოყენებული მოსაზრებით და სირთულით ამ სხვადასხვანაირ ოპერაციებს ყველა ეტაპზე. იგი ბრწყინვალე შედეგებს იძლეოდა.

მტრის ხანგრძლივი თავდაცვა, რომელიც მოწყობილი იყო ბუნებრივი პირობების გათვალისწინებით და საინჟინრო ნაგებობათა ფართოდ გამოყენებით, იმსხვრეოდა ჩვენი არტილერიის მძლავრი ცეცხლით, ჰაერიდან ძლიერი დარტყმებით, ინგრეოდა ჩვენი ტანკების ჯავშნით, იმუსრებოდა საბჭოთა მეომრების უსაზღვრო მამაცობითა და ოსტატობით.

უკანასკნელ დღეებში ბელგრადის სამხრეთ-აღმოსავლეთით „ქვაბში" მოექცა გერმანელთა დიდი დაჯგუფება. ჩვენმა ნაწილებმა მტკიცე რკალი შემოარტყეს მას. გერმანელთა ცდებს — გამოჰრილიყვნენ „ქვაბიდან" — მათთვის წარმატება არ მოუტანია. ჩვენმა ტანკისტებმა და ქვეითებმა უკანდასახევი ყველა გზა დაიკავეს, დაჯგუფება დააქუცმაცეს და ცალცალკე სპობდნენ მას. ამ რაიონში ბრძოლების გაფთრებულობაზე მეტყველებს მხოლოდ სამი დღის ბრძოლებში 9.000 გერმანელი ჯარისკაცისა და ოფიცრის გაჟლეტა.

უკანასკნელი დღეების ბრძოლებში მთელი მრავალგვარობით გამოჩნდა ჩვენი გენერლებისა და ოფიცრების ოპერატიულ-ტაქტიკური ოსტატობა. საბჭოთა ოფიცრებს ბრძოლების ხელმძღვანელობა უხდებოდათ კარპატის მთების უღელტეხილებზეც, უნგრეთის დაბლობშიც, აღმოსავლეთ პრუსიის ტყეებსა და ჭაობებშიც და ბარენცის ზღვის უდაბურ სანაპიროზეც. მათ უხდებოდათ ტანკებისა და ცხენოსანი ჯარის, ავიაციისა და ქვეითი ჯარის თანამოქმედების მოწყობა ბრძოლებში, რომლებიც სულ სხვადასხვანაირ ადგილებში სწარმოებდა, ხმელეთიდან და ზღვიდან მოქმედი ნაწილების თანამოქმედების მოწყობა, დესანტების გადასხმა კლდოვან ნაპირებსა და ტყიან კუნძულებზე, ისეთი მდინარეების გადალახვა, როგორიცაა დუნაი და ტისა. ძნელია წარმოიდგინოთ ტაქტიკური ფორმებისა და ხერხების უფრო მრავალგვარი გამოყენება. და ჩვენი ოფიცრები ყველგან ღირსეულად ასრულებდნენ და ასრულებენ თავიანთ მოვალეობას. ყოველ უბანზე ისინი საქმის სრული ცოდნით სწყვეტდნენ და სწყვეტენ თავიანთ ამოცანებს.

უკანასკნელი დღეების ოპერაციები ასევე მკაფიოდ ცხადჰყოფენ ჩვენი საარმიო ზურგის შესანიშნავ მუშაობას. თანამედროვე ფრონტები მოითხოვენ საჭურვლის, საომარი მასალის, სურსათის კოლოსალურ რაოდენობას. ზურგი უზრუნველჰყოფს წითელ არმიას ყოველივე იმით, რაც საჭიროა ოპერაციების წარმატებით საწარმოებლად. ჩვენი ჯარები, რომლებიც ათასობით კილომეტრზე იმყოფებიან ჩვენი ქვეყნის თავდაცვითი ქარხნებიდან, მათს სიახლოვეს გრძნობენ და ბრძოლების საწარმოებლად საჭირო საჭურველსა და საომარ მასალას იღებენ.

ჩვენი ჯარების შეტევა გრძელდება. წითელი არმია ანადგურებს მტერს ფრონტზე, რომელიც გადაჭიმულია ბარენცის ზღვიდან ბალკანეთის მთებამდე. მტერი ზედიზედ განიცდის დამარცხებას, და შორს აღარ არის ის დღე, როდესაც საბჭოთა მეომრები ძლევამოსილად გაემართებიან წინ მტრის უმნიშვნელოვანესი ცენტრებისაკენ.

დიდება ჩვენს მამაც წითელ არმიას!

დიდება მის დიდ ბელადსა და მხედართმთავარს საბჭოთა კავშირის მარშალს ამხანაგ სტალინს!

**„პრავდის" 26 ოქტომბრის მოწინავე**

# ᲙᲐᲚᲘᲜᲘᲜᲘᲡ ᲝᲚᲥᲘᲡ ᲙᲝᲚᲛᲔᲣᲠᲜᲔᲗᲐ ᲕᲐᲚᲓᲔᲑᲣᲚᲔᲑᲐᲜᲘ

## ᲙᲐᲚᲘᲜᲘᲜᲘᲡ ᲝᲚᲥᲘᲡ ᲙᲝᲚᲛᲔᲣᲠᲜᲔᲔᲑᲘ ᲕᲐᲚᲓᲔᲑᲣᲚᲔᲑᲐᲡ ᲙᲘᲡᲠᲣᲚᲝᲑᲔᲜ 10 ᲜᲝᲔᲛᲑᲠᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲒᲔᲒᲛᲘᲡ ᲒᲐᲓᲐᲛᲔᲢᲔᲑᲘᲗ ᲬᲘᲗᲔᲚᲘ ᲐᲠᲛᲘᲘᲡ ᲤᲝᲜᲓᲨᲘ ᲨᲔᲘᲢᲐᲜᲝᲜ 26 ᲐᲗᲐᲡᲘ ᲢᲝᲜᲐ ᲙᲐᲠᲢᲝᲤᲘᲚᲘ ᲓᲐ ᲑᲝᲡᲢᲜᲔᲣᲚᲘ

სასიხარულო დღეებს განიცდის ჩვენი სამშობლო. გმირი წითელი არმია შეიჭრა აღმოსავლეთ პრუსიაში—ფაშისტი მხეცის ბუნაგში. დღითიდღე ახლოვდება მტერზე სრული და საბოლოო გამარჯვების ჟამი.

სამამულო ომის ფრონტებზე წითელი არმიის ისტორიული გამარჯვებებით აღფრთოვანებულნი, კალინინის ოლქის კოლმეურნენი წარმატებით ასრულებენ სასოფლო-სამეურნეო სამუშაოებს. 20 ოქტომბერს კოლმეურნეებმა შეასრულეს პურის ჩაბარების სახელმწიფო გეგმა, ამთავრებენ გეგმის გადამეტებით წითელი არმიის ფონდში პურის შეტანას და სახელმწიფოსათვის კარტოფილის სავალდებულო ჩაბარებას. ჩვენ ვიცით, რომ წითელ არმიასა და ჩვენს ქვეყანას ესაჭიროება არა მარტო პური, არამედ აგრეთვე კარტოფილი და ბოსტნეული.

უკრაინელ კოლმეურნეთა მიმართვის საპასუხოდ ჩვენ გეგმის გადამეტებით წითელი არმიის ფონდში ერთი მილიონი ფუთი პურის შეტანასთან ერთად გადავწყვიტეთ ვიკისროთ შემდეგი ვალდებულებანი:

1. ა. წ. 1 ნოემბრისათვის შევასრულოთ კარტოფილისა და ბოსტნეულის სავალდებულო ჩაბარების სახელმწიფო გეგმა.
2. 10 ნოემბრისათვის გეგმის გადამეტებით წითელი არმიის ფონდში შევიტანოთ 26 ათასი ტონა კარტოფილი და ბოსტნეული.

ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის XXVII წლისთავს შევხვდეთ ჩვენი ვალდებულებების მთლიანად და გადაჭარბებით შესრულებით!

გეგმის გადამეტებით წითელი არმიის ფონდში შევიტანოთ მეტი პური, კარტოფილი, ბოსტნეული და ამით დავეხმაროთ მას უფრო მალე გაანადგუროს გერმანელი დამპყრობლები!

გაუმარჯოს ჩვენს დიდ საბჭოთა სამშობლოს!

გაუმარჯოს ჩვენს საყვარელ ბელადს უმაღლეს მთავარსარდალს ამხანაგ **სტალინს!**

**(ვალდებულებები მიღებულია ოლქის კოლმეურნეობათა კრებებზე).**

## ᲛᲘᲢᲘᲜᲒᲘ ᲒᲐᲜᲗᲐᲕᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲣᲚ ᲠᲘᲒᲐᲨᲘ

25 ოქტომბერს რიგაში შესდგა ხალხმრავალი საერთო-საქალაქო მიტინგი.

მიტინგზე გამოვიდნენ ლატვიის კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მდივანი ამხ. კალნბერზინი, ლატვიის სს რესპუბლიკის სახკომსაბჭოს თავმჯდომარე ამხ. ლაცისი, მუშებისა და პარტიზანების წარმომადგენლები, რომელნიც მხურვალე მადლობას უცხადებდნენ წითელ არმიასა და ამხანაგ სტალინს გერმანელთა უღლისაგან განთავისუფლებისათვის.

საბჭოთა ლატვიის დედაქალაქის განმათავისუფლებელი ჯარების სახელით გამოვიდა არმიის გენერალი მასლენიკოვი.

მიტინგის მონაწილეებმა დიდი აღფრთოვანებით მიიღეს მისალმება ამხანაგ სტალინისადმი. (საქდესი).

## 80 ᲛᲘᲚᲘᲝᲜᲘ ᲨᲠᲝᲛᲐᲓᲦᲔ

### ᲞᲘᲝᲜᲔᲠᲗᲐ ᲓᲐ ᲛᲝᲡᲬᲐᲕᲚᲔᲗᲐ ᲡᲢᲐᲮᲐᲜᲝᲕᲣᲠᲘ ᲨᲠᲝᲛᲐ ᲛᲘᲜᲓᲕᲠᲐᲓ

ამა წლის ზაფხულში 4 მილიონზე მეტი პიონერი და მოსწავლე მუშაობდა კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მინდვრებში. მათ გამოიმუშავეს 80 მილიონამდე შრომადღე და ფულად მიიღეს 12 მილიონი მანეთი.

მინდვრის სამუშაოზე განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი უზბეკეთის სს რესპუბლიკის პიონერებმა და მოსწავლეებმა, რომლებმაც 11,5 მილიონი შრომადღე გამოიმუშავეს, უკრაინის სს რესპუბლიკისამ, რომლებმაც გამოიმუშავეს 6 მილიონზე მეტი შრომადღე, მოსკოვის, ლენინგრადის, სვერდლოვსკის, გორკის, ჩელიაბინსკის მოსწავლეებმა.

შედეგების შეჯამების შემდეგ საუკეთესო სკოლები, რომლებმაც თავი გამოიჩინეს 1944 წლის სასოფლო-სამეურნეო სამუშაოებზე, დაჯილდოებულ იქნებიან გარდამავალი წითელი დროშებითა და ფულადი პრემიებით. (საქდესი).

---

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი მწუხარებით იუწყება, რომ მძიმე ავადმყოფობის შემდეგ ა. წ. 24 ოქტომბერს ქ. მონტევიდეოში (ურუგვაი) გარდაიცვალა სსრ კავშირის საგანგებო და სრულუფლებიანი დესპანი ურუგვაიში სერგი ალექსის-ძე **ორლოვი,** და სამძიმარს უცხადებს გარდაცვალებულის ოჯახს.

---

სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატი მწუხარებით იუწყება ურუგვაიში სსრ კავშირის საგანგებო და სრულუფლებიანი დესპანის სერგი ალექსის-ძე **ორლოვის** უდროოდ გარდაცვალებას და ღრმა თანაგრძნობას უცხადებს გარდაცვალებულის ოჯახს.

# ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲡᲐᲘᲜᲤᲝᲠᲛᲐᲪᲘᲝ ᲑᲘᲣᲠᲝᲡᲐᲒᲐᲜ

## 25 ᲝᲥᲢᲝᲛᲑᲠᲘᲡ ᲝᲞᲔᲠᲐᲢᲘᲣᲚᲘ ᲪᲜᲝᲑᲐ

**კარელიის** ფრონტის ჯარებმა, რომლებიც გერმანელთა ჯარებს სდევნიან, გადალახეს **ნორვეგიის** სახელმწიფო საზღვარი და იმიერპოლარეთის ძნელ პირობებში 25 ოქტომბერს დაიკავეს დიდმნიშვნელოვანი ნავსადგური **ბარენცის** ზღვაში—ქალაქი **კირკენესი,** აგრეთვე ბრძოლებით დაიკავეს **ნორვეგიის** ტერიტორიაზე 30-ზე მეტი სხვა დასახლებული პუნქტი, მათ შორის **კროფტფიეტერბუქტი, სტურბუქტი, იაარდფიერბოტნი, როპელვენი, იაკობსნესი, ელვენესი, ბიერკაეიმი, ხებუტენი, სანდნესი, ბიერნევანდი, ლონგფიორდბოტნი, ნიგორდი, ფოსგორდი, ლანგლი, სვანვიკი.**

**ლიბავის** მიმართულებით ჩვენმა ჯარებმა მოიგერიეს მოწინააღმდეგის ქვეითი ჯარისა და ტანკების დიდი ძალების არაერთგზისი იერიში და დიდი ზარალი მიაყენეს მას ცოცხალი ძალისა და ტექნიკის მხრივ.

აღმოსავლეთ პრუსიაში ჩვენი ჯარები შეტევას განაგრძობდნენ, სძლიეს მტრის წინააღმდეგობა და კონტრიერიშები და შეუპოვარი ბრძოლებით დაიკავეს გერმანელთა თავდაცვის მთელი რიგი ძლიერ გამაგრებული დასაყრდენი პუნქტები, მათ შორის **ბალდენი, პეტერაიხენი, ვილპიშენი, დრუსკენი, ბარაიშკემენი, ლავიშკემენი, პაგალენი, გროს ტრაკენენი, მატცუტკემენი, აიზენაიუტე, გროს ტრაკიშკენი, შუიკენი, კლაინ-კუმეტშენი.**

**პრაგის (ვარშავის** გარეუბანი) ჩრდილო-დასავლეთით ჩვენი ჯარები, პოლონეთის 1-ლი არმიის ნაწილებთან ერთად, ეწეოდნენ ადგილობრივი მნიშვნელობის ბრძოლებს, რომელთა მსვლელობაშიც დაიკავეს დასახლებული პუნქტები **ლაისკი, ველიშევო, ვენგერსკიე-კონტი, რემბელშიზნა, რუჟოპოლე, ხოშჩუვკა, დომბრუვკა, პლუდი, გენრიკუვი, ტარხომინი, ჟერანი.**

ჩეხოსლოვაკიის ტერიტორიაზე **მუკაჩევოს** ჩრდილო-აღმოსავლეთით და სამხრეთ-აღმოსავლეთით ჩვენმა ჯარებმა, რომლებიც სძლევდნენ მტრის წინააღმდეგობასა და საინჟინრო დაბრკოლებებს, ბრძოლებით დაიკავეს 50-ზე მეტი დასახლებული პუნქტი, მათ შორის **იზვორი, ოლენევო, სოლოჩინი, პასიკი** (14 კილომეტრზე **მუკაჩევოს** ჩრდილო-აღმოსავლეთით), **დუსინა, დოვგე, ველიკი რაკოვეცი, როკოსოვი** და რკინიგზის სადგურები **ნელიპინო, დოვგე, ზადნე.**

**უკრაინის** მე-2 ფრონტის ჯარებმა 25 ოქტომბერს იერიშით დაიკავეს მოწინააღმდეგის თავდაცვის დიდმნიშვნელოვანი დასაყრდენი პუნქტები და დიდი რკინიგზის კვანძები ჩრდილოეთ ტრანსილვანიაში ქალაქები **სატუ-მარე, კარეი,** აგრეთვე ბრძოლებით დაიკავეს 100-ზე მეტი სხვა დასახლებული პუნქტი, მათ შორის დიდი დასახლებული პუნქტები **ბატარჩი, ხალმეუ, ტურულუნგი, აგრისი, პელიშორი, ლაზური, ოსვარეუ, ვეტიში, დარა, სეტმერელი, ბილვაჩი, კემინი, ურზიჩენი, სტანისლეუ** და რკინიგზის სადგურები **ხალმეუ, მიკულა, ოსვარეუ, ლაზური, სეტმერელი, ბილვაჩი, სტანისლეუ.** ამრიგად, ჩვენმა ჯარებმა დაამთავრეს მოწინააღმდეგისაგან ტრანსილვანიის განთავისუფლება.

ფრონტის სხვა უბნებზე მზვერავები მოქმედებდნენ და მთელ რიგ პუნქტებში ადგილობრივი მნიშვნელობის ბრძოლები სწარმოებდა.

24 ოქტომბერს ჩვენმა ჯარებმა ყველა ფრონტზე დააზიანეს და მოსპეს გერმანელთა 112 ტანკი. საჰაერო ბრძოლებში და საზენიტო არტილერიის ცეცხლით ჩამოგდებულია მოწინააღმდეგის 67 თვითმფრინავი.

* * *

### ᲩᲕᲔᲜᲘ ᲐᲕᲘᲐᲪᲘᲘᲡ ᲗᲐᲕᲓᲐᲡᲮᲛᲔᲑᲘ ᲚᲘᲑᲐᲕᲘᲡ, ᲕᲘᲜᲓᲐᲕᲘᲡ ᲜᲐᲕᲡᲐᲓᲒᲣᲠᲔᲑᲖᲔ ᲓᲐ ᲐᲚᲛᲝᲡᲐᲕᲚᲔᲗ ᲞᲠᲣᲡᲘᲐᲨᲘ ᲘᲜᲡᲢᲔᲠᲑᲣᲠᲒᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲓᲐᲠᲙᲔᲛᲔᲜᲘᲡ ᲡᲐᲠᲙᲘᲜᲘᲒᲖᲝ ᲙᲕᲐᲜᲫᲔᲑᲖᲔ

24 ოქტომბერს ღამით ჩვენი შორი მოქმედების ავიაცია თავს დაესხა ლიბავისა და ვინდავის ნავსადგურებს და აღმოსავლეთ პრუსიის სარკინიგზო კვანძებს ინსტერბურგსა და დარკემენს.

თავდასხმის დროს ლიბავის ნავსადგურში გერმანელთა რამდენიმე ტრანსპორტი იდგა. დაბომბვის შედეგად 14 ხანძარი გაჩნდა. განსაკუთრებით დიდი ხანძრები შემჩნეულ იქნა ნავსადგურის აღმოსავლეთ ნაწილში, ანგარებისა და ვაგზლის რაიონში. ნავსადგურში ხუთი აფეთქება მოხდა, მათ შორის ერთი აფეთქება უდიდესი ძალისა იყო.

ვინდავის ნავსადგურში დაბომბვით გაჩნდა რამდენიმე ხანძარი, რომლებსაც თან სდევდა აფეთქებანი.

ინსტერბურგისა და დარკემენის სარკინიგზო კვანძებზე ბომბების აფეთქება შემჩნეულ იქნა მოწინააღმდეგის ეშელონებს შორის. დარკემენში ბომბების პირდაპირი მოხვედრებით აფეთქებულია საომარ მასალათა ეშელონი. რკინიგზის კვანძის ტერიტორიის მეტ ნაწილს ცეცხლი მოედო.

## 26 ᲝᲥᲢᲝᲛᲑᲠᲘᲡ ᲝᲞᲔᲠᲐᲢᲘᲣᲚᲘ ᲪᲜᲝᲑᲐ

26 ოქტომბრის განმავლობაში **კარელიის** ფრონტის ჯარები განაგრძობდნენ შეტევით ბრძოლებს, რომელთა მსვლელობაშიც **პეტსამოს (პეჩენგის)** ოლქის ტერიტორიაზე დაიკავეს დასახლებული პუნქტები **ვანხატალვიკიულია, კესკიტალო, ხეისკარი, მენიკო, პიტკაიარვი, ხეიხენიარვი.**

აღმოსავლეთ პრუსიაში ჩვენმა ჯარებმა, რომლებიც მტრის გაძლიერებულ წინააღმდეგობას ხვდებიან, შეუპოვარი ბრძოლებით დაიკავეს ძლიერ გამაგრებული დასაყრდენი პუნქტები **შვირგალენი, ამალიენჰოფი, გუდინი, გრიუნვაიტშენი.**

**უკრაინის** მე-4 ფრონტის ჯარებმა 26 ოქტომბერს ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკის ტერიტორიაზე დაიკავეს იმიერკარპატების უკრაინის სამრეწველო ცენტრი ქალაქი **მუკაჩევო** — კომუნიკაციათა დიდმნიშვნელოვანი კვანძი და მოწინააღმდეგის თავდაცვის დასაყრდენი პუნქტი კარპატების სამხრეთ შტოებთან, აგრეთვე ჩეხოსლოვაკიის ტერიტორიაზე ბრძოლებით დაიკავეს 60-ზე მეტი სხვა დასახლებული პუნქტი, მათ შორის დიდი დასახლებული პუნქტები **ველკე ბერეზნე, ჩორნოგოლოვო, სმერეკოვა, ტურიცა, ტურიან რემეტი, ტურია პასიკა, პოროშკოვი, ნიჟნიაია გრაბოვნიცა, კლიუჩარკა, რომოჩევიცა, დოროგრატოვო, მაკარევო, კივიაჟდი, სალანკი, ვერბოვეცი, ვილოკი** და რკინიგზის სადგურები **ველკე ბერეზნე, ჩინადიევო, პოდგორიანი, სევლიუში, ვილოკი.**

20-დან 26 ოქტომბრამდე წარმოებული შეტევითი ბრძოლების განმავლობაში **უკრაინის** მე-4 ფრონტის ჯარებმა ტყვედ წამოიყვანეს მოწინააღმდეგის 11.230 ჯარისკაცი და ოფიცერი და ხელთ იგდეს შემდეგი დავლა: 73 სხვადასხვა ყალიბის ქვემეხი, 58 ნაღმსატყორცნი, 372 ტყვიამფრქვევი, 5.000-ზე მეტი შაშხანა და ავტომატი, 47 საწყობი საომარ მასალიანად, იარაღიანად, საჭურვლიანად და სურსათიანად.

ქალაქ **სატუ-მარეს** ჩრდილო-დასავლეთით და დასავლეთით ჩვენმა ჯარებმა, შეტევითი ბრძოლების შედეგად, უნგრეთის ტერიტორიაზე დაიკავეს 40-ზე მეტი დასახლებული პუნქტი, მათ შორის დიდი დასახლებული პუნქტები **უსცა, სონკადი, გოტპალადი, ჩახოლი, მაიტიში, დიუდიე, ჩენგერი, პორჩალმა, ტიოკოდი, ფაბიანხაზა, ვალაი** და რკინიგზის სადგურები **გახალი, იანკი, ჩენგერი, პორჩალმა.**

ჩრდილოეთ ტრანსილვანიის ტერიტორიაზე 21-დან 25 ოქტომბრამდე წარმოებული ბრძოლების განმავლობაში **უკრაინის** მე-2 ფრონტის ჯარებმა ტყვედ წამოიყვანეს მოწინააღმდეგის 6.700 ჯარისკაცი და ოფიცერი.

ფრონტის სხვა უბნებზე მზვერავები მოქმედებდნენ და ადგილობრივი მნიშვნელობის ბრძოლები სწარმოებდა.

25 ოქტომბერს ჩვენმა ჯარებმა ყველა ფრონტზე დააზიანეს და მოსპეს გერმანელთა 83 ტანკი. საჰაერო ბრძოლებში და საზენიტო არტილერიის ცეცხლით ჩამოგდებულია მოწინააღმდეგის 37 თვითმფრინავი.

* * *

კარელიის ფრონტის ჯარები შეტევას განაგრძობდნენ და დაიკავეს რამდენიმე დასახლებული პუნქტი. იმიერპოლარეთში წარმოებულ ბრძოლებში ჩვენი მებრძოლები, სერჟანტები და ოფიცრები მამაცობისა და გმირობის მაგალითებს გვიჩვენებენ. გარდა იმისა, რომ წინააღმდეგობას გვიწევენ გერმანიის ჯარები, ყოველ ნაბიჯზე გვიხდება მეტად მკაცრი ბუნებრივი პირობების დაძლევა. საბჭოთა ნაწილები ლაშქრობას ეწევიან უგზოობის პირობებში, სძლევენ გორაკებსა და ჭაობებს, უკუაგდებენ და ქლეტენ მოწინააღმდეგეს. დღეს განსაკუთრებით შეუპოვარი ბრძოლები მოხდა დასახლებულ პუნქტ პიტკაიარვისათვის. მოწინააღმდეგე გამაგრდა წინასწარ მომზადებულ პოზიციებზე და გაფთრებულ წინააღმდეგობას გვიწევდა. ტყვეებმა გვაცნობეს, რომ გერმანიის ჯარებმა ბრძანება მიიღეს რადაც უნდა დაჯდეს შეინარჩუნონ დასაყრდენი პუნქტი პიტკაიარვი და გზატკეცილი, რომელიც ერთადერთია ამ რაიონში. საბჭოთა ნაწილებმა გადალახეს ცეცხლითი წინააღმდეგობა, სწრაფი დარტყმით უკუაგდეს მოწინააღმდეგე და დაიკავეს პიტკაიარვი. ბრძოლის ველზე მტრის ბევრი გვამი დარჩა. ხელთ ვიგდეთ ტყვეები და დავლა.

* * *

აღმოსავლეთ პრუსიაში ჩვენმა ჯარებმა, შეუპოვარი ბრძოლების შედეგად, დაიკავეს მოწინააღმდეგის რამდენიმე ძლიერ გამაგრებული დასაყრდენი პუნქტი. გერმანელებს განუწყვეტლივ მოჰყავთ ახალი ნაწილები, ეყრდნობიან ხანგრძლივ თავდაცვითს ნაგებობებს და კონტრიერიშზე გადმოჰყავთ ქვეითი ჯარისა და ტანკების დიდი ძალები. მთელ რიგ უბნებზე ბრძოლები გაფთრებულ ხელჩართულ შეტაკებად გადაიქცა. საბჭოთა არტილერისტებმა და ქვეითებმა მოიგერიეს მოწინააღმდეგის ყველა კონტრიერიში. დღის განმავლობაში მოსპობილია 2.800-მდე გერმანელი ჯარისკაცი და ოფიცერი. დაზიანებული და დამწვარია მოწინააღმდეგის 39 ტანკი და მოსპობილია 20 ჯავშანტრანსპორტიორი.

* * *

უკრაინის მე-4 ფრონტის ჯარები წარმატებით შეტევას განაგრძობდნენ. ჩვენი ჯარები ბრძოლებით მიიწევდნენ წინ კარპატების სამხრეთ კალთებზე და გავიდნენ ჩეხოსლოვაკიის ქალაქ მუკაჩევოს მისადგომებზე. მტერმა ეს ქალაქი გადააქცია თავდაცვის მძლავრ დასაყრდენ პუნქტად, რომელიც იფარავდა ჩეხოსლოვაკიის ცენტრალურ რაიონში მიმავალ გზებს. ქალაქის მისადგომებზე, კარპატის მთების სამხრეთ შტოებზე, ჰიტლერელებმა ბევრი სიმაგრე ააგეს. საბჭოთა ჯარებმა გაბედული მოქმედებით არევ-დარევა შეიტანეს მტრის თავდაცვაში. ჩვენმა მოძრავმა რაზმებმა შემოუარეს გერმანელთა სიმაგრეებს, ერთმანეთს მოსწყვიტეს ისინი და ჩაშალეს მათი ურთიერთკავშირი. საბჭოთა ნაწილებმა, რომლებიც ქალაქ ხუსტიდან მუკაჩევოს უტევენ, გაანადგურეს გერმანელთა მთელი რიგი გარნიზონები და ხელთ იგდეს დიდძალი ტყვე. საბჭოთა მებრძოლებმა წარმატება განავითარეს და რამდენიმე მხრიდან შეიჭრნენ მუკაჩევოში. მთელ ღამის ქუჩებში შეუპოვარი ბრძოლები სწარმოებდა. დღეს განთიადისას ჩვენმა ჯარებმა სავსებით დაიკავეს ქალაქი მუკაჩევო — იმიერკარპატების უკრაინის სამრეწველო ცენტრი.

* * *

ქალაქ სატუ-მარეს ჩრდილო-დასავლეთით და დასავლეთით ჩვენმა ჯარებმა დაამთავრეს მოწინააღმდეგისაგან ტრანსილვანიის განთავისუფლება და უნგრეთის ფარგლებში შევიდნენ აღმოსავლეთიდან. ნ შენაერთის ნაწილებმა, რომლებიც მდინარე სომეშულის გასწვრივ უტევენ, წინ წაიწიეს 15 კილომეტრით და ბრძოლებით დაიკავეს მთელი რიგი დასახლებული პუნქტები. სხვა უბანზე გერმანელთა ტანკები და ქვეითი ჯარი კონტრიერიშზე გადმოვიდნენ. ჩვენმა ჯარებმა მოიგერიეს კონტრიერიში და უკუაგდეს მოწინააღმდეგე, ამასთან გაჟლიტეს 900 ჰიტლერელი. საბჭოთა არტილერიის ცეცხლით დაზიანებულია 10 ტანკი და 12 ჯავშანტრანსპორტიორი.

ჩვენმა ჯარებმა, რომლებმაც ქალაქი სატუ-მარე დაიკავეს, ხელთ იგდეს გერმანელთა 20 ქვემეხი, 46 ორთქლმავალი, 4 რკინიგზის ეშელონი და, გარდა ამისა, 1.042 ვაგონი სამხედრო ტვირთიანად, სამი საწყობი საომარ მასალიანად და სხვა დავლა.

* * *

ჩრდილოეთის ფლოტის ავიაციამ ბარენცის ზღვაში ჩაძირა გერმანელთა სამი საგუშაგო ხომალდი, ხუთი სწრაფმავალი სადესანტო ბარჟა, ტრალერი, საგუშაგო კატერი და ორი მოტობოტი.

ვარდეს ნავსადგურში (ჩრდილოეთ ნორვეგია) ჩვენმა მფრინავებმა ჩაძირეს ბარჟა გერმანელი ჯარისკაცებიანად. მოწინააღმდეგის ორი მოტობოტი და რამდენიმე სხვა მცირე გემი.

# ᲤᲣᲚᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲜᲘᲕᲗᲔᲑᲘᲡ ᲛᲔᲝᲗᲮᲔ ᲚᲐᲢᲐᲠᲘᲘᲡ ᲬᲐᲠᲛᲐᲢᲔᲑᲐ

25 ოქტომბერს დაიწყო ფულისა და ნივთების მეოთხე ლატარიის ბილეთების გავრცელება. სსრ კავშირის ფინსახკომში შემოსული პირველი ცნობები გვიჩვენებენ, რომ ლატარიის რეალიზაცია საბჭოთა კავშირის ყველა რესპუბლიკაში, მხარესა და ოლქში ორგანიზებულად მიმდინარეობს.

ერთსულოვნად იძენენ ლატარიის ბილეთებს დედაქალაქის მშრომელნი. ვლადიმერ ილიას-ძის სახელობის ქარხნის მუშებმა ლატარიის ბილეთები შეიძინეს იმ თანხის რაოდენობით, რაც მათი თვიური ხელფასის ფონდის 18 პროცენტს შეადგენს. ამწყობმა ამხ. კულიგინმა ხელი მოაწერა თანხაზე, რომელიც მისი ხელფასის 50 პროცენტს უდრის. ოსტატ ონიშჩენკოს ცვლის მუშებმა ხელი მოაწერეს თანხაზე, რაც მათი ხელფასის 25 პროცენტს აღემატება.

კიროვის სახელობის „დინამოს" ქარხანაში ხელმოწერის თანხა დილის 10 საათისთვის 327 ათას მანეთს შეადგენდა.

კემეროვოს ოლქში ხელმოწერა ღამის ცვლების დროს დაიწყო. ქალაქის საწარმოთა მუშებმა [illegible] 3,5 მილიონი მანეთის ბილეთები. სტალინსკის ქარხნებში ხელმოწერამ 4,5 მილიონ მანეთს მიაღწია, პროკოპიევსკის ქარხნებში—1,2 მილიონს.

დიდი აღფრთოვანებით მიმდინარეობს ხელის მოწერა კიროვის ოლქში. ბოგოროდსკოეს რაიონის საწარმოთა მუშებმა ნაღდ ფულად 500 ათასი მანეთის ბილეთები შეიძინეს.

კრასნოიარსკის მშრომელებმა 6 მილიონ მანეთზე მოაწერეს ხელი. კანსკის რაიონში ხელმომწერლებმა 200 ათასი მანეთი ნაღდ ფულად შეიტანეს.

კოლმეურნეები ნაღდად იძენენ დიდი თანხების ბილეთებს. მოსკოვის ოლქის უხტომსკის რაიონში კოლმეურნეებმა 852 ათასი მანეთის ბილეთები შეიძინეს, კალუგის ოლქის მალოიაროსლავეცის რაიონის სტალინის სახელობის არტელის 40 კოლმეურნემ 40 ათას მანეთზე მოაწერა ხელი და მთელი თანხა ნაღდად შეიტანა.

(საქდესი).

## ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲨᲘ ᲒᲐᲕᲠᲪᲔᲚᲔᲑᲣᲚᲘᲐ 136.952.000 ᲛᲐᲜᲔᲗᲘᲡ ᲑᲘᲚᲔᲗᲔᲑᲘ

26 ოქტომბერს საღამოს 10 საათისათვის საქართველოს სს რესპუბლიკაში, არასრული ცნობებით, ფულისა და ნივთების მეოთხე ლატარიის ბილეთებზე ხელმოწერის თანხა უდრიდა 136.952.000 მანეთს. აქედან ქალაქად გავრცელებულია 29.123.000 მანეთისა და სოფლად 107.829.000 მანეთიის ლატარიის ბილეთები.

ამავე დროისათვის შემოტანილი იყო ნაღდი თანხა ქალაქების მოსახლეობისაგან 3.556.000 მანეთი და სოფლის მოსახლეობისაგან 88.355.000 მანეთი. სულ ნაღდად შემოსულია 97.911.000 მანეთი.

თბილისში ლატარიის ბილეთებზე ხელმოწერის თანხა უდრიდა 11.690.000 მანეთს. ლენინის რაიონში გავრცელებულია 1.382.000 მანეთის ბილეთები, სტალინის რაიონში — 2.000.000 მანეთისა, ორჯონიკიძის რაიონში — 1.305.000 მანეთისა, ბერიას რაიონში — 2.743.000 მანეთისა, 26 კომისრის რაიონში — 2.168.000 მანეთისა, კიროვის რაიონში — 1.211.000 მანეთისა და მოლოტოვის რაიონში — 881.000 მანეთის ბილეთები.

### ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲡᲐᲬᲐᲠᲛᲝᲔᲑᲨᲘ

თბილისის საორთქმავლო დეპოში ფულისა და ნივთების მეოთხე ლატარიის ბილეთებზე ხელმოწერა პირველ დღესვე დამთავრდა.

თბილისის ავტოსარემონტო ქარხანაში ხელმოწერის პირველი სამი საათის განმავლობაში ლატარიის ბილეთები მუშათა საერთო რაოდენობის 60 პროცენტმა შეიძინა.

მეექვსე სამკერვალო ფაბრიკაში ბილეთებზე ხელმოწერა ერთ საათში დამთავრდა. საგამომჭრელო საამქროს უფროსმა ამხ. ვ. გაბრიელიანმა ნაღდ ფულზე შეიძინა 400 მანეთის ბილეთები.

მოლოტოვის სახელობის ფეხსაცმლის ფაბრიკაში მუშებმა და ინჟინერ-ტექნიკოსებმა ერთ დღეში დაამთავრეს ლატარიის ბილეთების შეძენა.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიაში 100.000 მანეთის ბილეთები გავრცელდა. აკადემიკოსმა ნ. კეცხოველმა 1.650 მანეთის ბილეთები შეიძინა, აკადემიკოსმა ვ. მუხაძემ—1.500 მანეთისა.

საქართველოს ზოოვეტერინარულ ინსტიტუტში პროფესორებმა და სტუდენტებმა ხელი მოაწერეს 48.975 მანეთის ბილეთებზე.

* * *

### ᲑᲐᲗᲣᲛᲘ

26 ოქტომბერს საღამოს 8 საათისათვის აჭარის ასს რესპუბლიკაში ლატარიის ბილეთებზე ხელმოწერა 8.147.000 მანეთს შეადგენდა. კოლმეურნეებმა შეიძინეს 5.608.000 მანეთის ბილეთები, აქედან ნაღდად 4.718.000 მანეთისა. ბათუმის, ქედისა და ქობულეთის რაიონების კოლმეურნეებმა მთელი ხელმოწერილი თანხა ნაღდად შეიტანეს.

ქობულეთის რაიონის დაგვის სასოფლო საბჭოს მოლოტოვის სახელობის კოლმეურნეობის წევრმა ვ. ბასილაძემ და დაგვის ვოროშილოვის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარემ ქ. ლავასასმ ნაღდად შეიძინეს თვითეულმა 10.000 მანეთის ლატარიის ბილეთები.

ნ. პაიჭაძე

### ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲘ

ერთსულოვნად შეხვდნენ ქუთაისის მშრომელნი ფულისა და ნივთების მეოთხე ლატარიის ბილეთებზე ხელმოწერას. ბილეთების რეალიზაცია წარმატებით მიმდინარეობს ბაქრაძის სახელობის აბრეშუმკომბინატში, საკონსერვო ქარხანაში, სამკერვალო ფაბრიკაში, სახელმწიფო თეატრში, სასწავლო კომბინატში და ქალაქის მთელ რიგ საწარმო-დაწესებულებებში.

25 ოქტომბერს დღის 4 საათისათვის ხელმოწერის თანხა 830.000 მანეთს უდრიდა.

რ. ბეროძე

### ᲭᲘᲐᲗᲣᲠᲐ

ხელმოწერის პირველ დღესვე ჭიათურის რაიონის მშრომელებმა ერთ მილიონზე მეტი მანეთის ბილეთები შეიძინეს. დიდი აღმავლობით ჩატარდა ხელმოწერა ნიგოზეთის სასოფლო საბჭოში, სადაც კოლმეურნეებმა ნაღდ ფულად შეიტანეს 160.000 მანეთი.

(საქდესი).

### ᲑᲝᲠᲯᲝᲛᲘ

ბორჯომის რაიონში წარმატებით ვრცელდება ლატარიის ბილეთები. მარტო იმ მშენებლობაზე, სადაც უფროსად არის ამხ. ვ. ღლონტი, გავრცელებულია 64.000 მანეთის ბილეთები. ასევე წარმატებით მიმდინარეობს ლატარიის ბილეთებზე ხელმოწერა საწარმოებსა და კოლმეურნეობებში. სოფელ რველის მცხოვრებმა კოლმეურნე მ. თაქთაქიშვილმა 10.000 მანეთის ბილეთები შეიძინა და თანხა იქვე ნაღდად შეიტანა.

დ. ჭიჭილეიშვილი

### ᲒᲝᲠᲘ

ფულისა და ნივთების მეოთხე ლატარიის ბილეთებზე ხელმოწერა ყველგან დიდი წარმატებით მიმდინარეობს. მეჯვრისხევის სასოფლო საბჭოში ხელმოწერის თანხამ 244.000 მანეთს მიაღწია. სოფელ მექვაბიანთკარის კოლმეურნეებმა ნაღდ ფულად შეიძინეს 45.000 მანეთის ბილეთები. ამ კოლმეურნეობის თავმჯდომარემ ს. ბერიშვილმა 4.000 მანეთის ბილეთები შეიძინა, კოლმეურნეებმა ვ. ჩიტიშვილმა და კ. გოგოლაშვილმა—3.000 მანეთის ბილეთები თვითეულმა.

პირველ დღესვე გორის რაიონში ხელმოწერის თანხამ 1.800.000 მანეთს მიაღწია, აქედან ნაღდად შემოსულია 1.500.000 მანეთი.

შ. ჩუბინიძე

### ᲤᲝᲗᲘ

ფოთის რაიონის კოლმეურნეობებში ლატარიის ბილეთებზე ხელმოწერა პირველ დღესვე დამთავრდა. ხელმოწერის თანხა უდრის 1.373.000 მანეთს, რაც სარეალიზაციოდ გათვალისწინებული ბილეთების ღირებულებას 328.000 მანეთით აჭარბებს.

სოფელ პატარა ფოთის ჩარკვიანის სახელობის კოლმეურნეობის წევრებმა ხელი მოაწერეს 150.000 მანეთის ბილეთებზე. კოლმეურნეობის თავმჯდომარემ ა. დამენიამ შეიძინა 10.000 მანეთის ბილეთები. მის მაგალითს მიბაძეს ბრიგადირებმა ა. ჭოჭუამ და ვ. რიჟამაძემ, რომლებმაც 10.000 მანეთის ბილეთები შეიძინეს თვითეულმა.

ვ. გუჯაბიძე

### ᲬᲣᲚᲣᲙᲘᲫᲔ

წულუკიძის რაიონში 25 ოქტომბერს საღამოს 8 საათისათვის უკვე გავრცელებული იყო 1.252.000 მანეთის ბილეთები. განსაკუთრებული წარმატებით მიმდინარეობს ბილეთებზე ხელმოწერა კოლმეურნეობებში. ყველაზე ადრე დაამთავრეს ბილეთების გავრცელება სოფელ ივანდიდის სტალინის სახელობის, სოფელ დედალაურის ბერიას სახელობის, სოფელ მათხოჯის ბერიას სახელობის და სოფელ ახალშენის მახარაძის სახელობის კოლმეურნეობებში.

მ. ჯაფარიძე

### ᲒᲐᲒᲠᲐ

გაგრის რაიონში ლატარიის ბილეთებზე ხელმოწერა 25 ოქტომბერს საღამოსათვის დამთავრდა. ნაცვლად ნავარაუდევი 1.330.000 მანეთისა, რაიონში გავრცელებულია 1.450.000 მანეთის ბილეთები. ამ თანხიდან ნაღდად შემოტანილია 785.000 მანეთი.

ტ. გვალია

# ᲣᲙᲐᲜᲐᲡᲙᲜᲔᲚᲘ ᲪᲜᲝᲑᲔᲑᲘ

## ᲘᲜᲒᲚᲘᲡᲘᲡ ᲔᲚᲩᲘᲡ ᲓᲐᲜᲘᲨᲕᲜᲐ ᲘᲢᲐᲚᲘᲐᲨᲘ

**ლონდონი,** 26 ოქტომბერი. (საქდესი). ლონდონში გამოცხადდა, რომ ინგლისის ყოფილი ელჩი ბრაზილიაში ნოელ ჩარლზი, რომელსაც ამჟამად უმაღლესი კომისრის პოსტი უკავია იტალიაში, ინგლისის ელჩად დაინიშნა რომში. გრაფი კარანდინი დაინიშნა იტალიის წარმომადგენლად ლონდონში.

## ᲡᲐᲛᲮᲔᲓᲠᲝ ᲓᲐᲛᲜᲐᲨᲐᲕᲔᲗᲐ ᲓᲐᲞᲐᲢᲘᲛᲠᲔᲑᲐ ᲤᲘᲜᲔᲗᲨᲘ

**ჰელსინკი,** 26 ოქტომბერი. (საქდესი). ამ უკანასკნელი დღეების განმავლობაში ფინეთში მოხდა სამხედრო დამნაშავეთა დაპატიმრება.

ოფიციალურ ცნობაში ნათქვამია: „დროებითი ზავის შესახებ შეთანხმების პირობების მეცამეტე მუხლის საფუძველზე ფინეთმა ვალდებულება იკისრა მოკავშირე სახელმწიფოებთან ითანამშრომლოს იმ პირთა დაპატიმრების საქმეში, რომელთაც ბრალად ედებათ სამხედრო დანაშაულებანი და მათი გასამართლების მოწყობაში. ახლა ამ მუხლის საფუძველზე დაპატიმრებულია ზოგიერთი პირი, რომელნიც, მოკავშირე სახელმწიფოთა განცხადებით, დამნაშავენი აღმოჩნდნენ საომარი მოქმედების დროს, უმთავრესად აღმოსავლეთ კარელიაში ჩადენილ დანაშაულებებში. სამხედრო ტყვეთა გადაცემისას მოხდა კვლევა-ძიება, რის საფუძველზეც დაკავებულია რამდენიმე პირი, რომელთაც ბრალსა სდებენ სამხედრო ტყვეები".

## ᲰᲘᲢᲚᲔᲠᲔᲚᲘ ᲛᲔᲗᲐᲣᲠᲘ ᲨᲔᲞᲛᲐᲜᲘ ᲐᲕᲐᲓ ᲒᲐᲮᲓᲐ „ᲜᲔᲠᲕᲔᲑᲘᲡ ᲐᲨᲚᲘᲚᲝᲑᲘᲗ"

### ᲡᲐᲖᲦᲕᲐᲠᲒᲐᲠᲔᲗ ᲒᲐᲥᲪᲔᲕᲘᲡ ᲚᲔᲒᲐᲚᲘᲖᲔᲑᲘᲡ ᲪᲓᲐ

**ჟენევა,** 26 ოქტომბერი. (საქდესი). გერმანიის რადიოს ცნობით, „სა" რაზმების შტაბის უფროსი შეპმანი, რომელსაც ჰიტლერმა დააკისრა „ფოლკსშტურმის" სწავლება, ავად გახდა ნერვების აშლილობით. ექიმებმა „ჰავის გამოცვლა" ურჩიეს მას.

## ᲒᲐᲠᲓᲐᲘᲪᲕᲐᲚᲐ ᲙᲔᲜᲢᲔᲠᲑᲔᲠᲘᲡ ᲛᲗᲐᲕᲐᲠᲔᲞᲘᲡᲙᲝᲞᲝᲡᲘ

**ლონდონი,** 26 ოქტომბერი. (საქდესი). როგორც რეიტერის სააგენტო გადმოგვცემს, 26 ოქტომბერს 63 წლის ასაკში გარდაიცვალა კენტერბერის მთავარეპისკოპოსი.

# პარტიული ცხოვრება

## მეტი ყურადღება ლექციურ პროპაგანდას

ლექციურ პროპაგანდას მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ჩვენი კადრების მარქსისტულ-ლენინური განათლების საქმეში. საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1938 წლის 14 ნოემბრის დადგენილებაში ნათქვამია: „შემოღებულ იქნას პრაქტიკაში ლექციები, რომლებიც მარქსიზმ-ლენინიზმის პროპაგანდის მნიშვნელოვან მეთოდს წარმოადგენენ. კარგად მომზადებული, შინაარსიანი ლექცია სერიოზულ დახმარებას უნდა წარმოადგენდეს იმ ამხანაგებისათვის, რომლებიც დამოუკიდებლად სწავლობენ „საკავშირო კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსს“ და მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსთა ნაწარმოებებს“.

სამამულო ომის პერიოდში კიდევ უფრო გაიზარდა ლექციური პროპაგანდის მნიშვნელობა. ლექციური პროპაგანდა გვეხმარება ლენინ-სტალინის პარტიის გარშემო მასების დარაზმვაში, ფრონტისადმი დახმარების გასაძლიერებლად საბჭოთა ხალხის მთელი ძალების მობილიზაციის საქმეში.

ჩვენმა პარტიულმა ორგანიზაციებმა შესძლეს სალექციო მუშაობაში ჩაებათ და გამოეზარდათ ახალი კადრები. ლექტორთა კადრების ზრდამ გამოიწვია ლექციის ხარისხის, მისი იდეურ-პოლიტიკური დონის შემდგომი გაუმჯობესება (თბილისი, ბორჯომი, მახარაძე, გურჯაანი და სხვ.). თავისი თეორიული ცოდნის ამაღლებისათვის სისტემატური ზრუნვით, პარტიული ორგანიზაციების მხრივ დახმარებით პროპაგანდისტებმა ამხ. შამელაშვილმა, გ. სუპატაშვილმა, პ. გელოშვილმა (ბორჯომი), კუბლაშვილმა, სტამბოლიშვილმა (ბათუმი), ილ. შეწირულმა (მახარაძის რაიონი), ვ. გუჯაბიძემ (ფოთი) და მრავალმა სხვა ამხანაგმა კარგ შედეგს მიაღწიეს. მათ მიერ წაკითხული ლექციები სერიოზულ დახმარებას უწევენ ჩვენს კადრებს.

მრავალფეროვანი გახდა ლექციების თემატიკა. ბორჯომის რაიონში ლექციებს კითხულობენ: საერთაშორისო მდგომარეობაზე, სამამულო ომზე, საკავშირო კ. პ. (ბ) ისტორიაზე, ამხანაგ სტალინის წიგნზე „საბჭოთა კავშირის დიდი სამამულო ომის შესახებ“, ამხანაგ სტალინის რევოლუციურ მოღვაწეობაზე საქართველოსა და ამიერ-კავკასიაში, ფილოსოფიაზე, ლიტერატურაზე, საბჭოთა ზურგის მუშაობაზე და სხვ. საჯაროდ წაკითხვამდე ყველა ლექციას წინასწარ ამოწმებს რაიკომის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილება. თვით ლექტორთა თეორიული დონის ამაღლებისათვის რაიონში 25 ლექცია მოეწყო.

ლექციური პროპაგანდის დარგში ზოგიერთ საქალაქო კომიტეტსა და რაიკომს ჯერ კიდევ აქვს მნიშვნელოვანი ნაკლოვანებანი. ლექციის დაბალი ხარისხი, თემატიკის ერთფეროვნება, პარტიული ორგანიზაციების მხრივ სუსტი კონტროლი და დახმარება ლექტორებისადმი, სალექციო მუშაობაში შტატგარეშე ლექტორების არასაკმარისი მონაწილეობა, ქალაქკომებთან არსებული ლექტორთა ჯგუფების სუსტი მუშაობა — აი ზოგიერთი მთავარი ნაკლი სალექციო მუშაობაში.

საქართველოს კ. პ. (ბ) სტალინირის საქალაქო კომიტეტთან არსებული ლექტორთა ჯგუფი იშვიათად იკრიბება. ლექციების დიდი ნაწილი ლექტორთა ჯგუფში განუხილველად და შეუმოწმებლად იკითხება. ზოგჯერ ლექციებს არჩევენ, მაგრამ ზერელედ, ფორმალურად. მაგალითად, ლექტორთა ჯგუფმა ისიც ვერ შენიშნა, რომ საქალაქო კომიტეტის ერთ-ერთი ლექტორის ლექცია რასიული თეორიის შესახებ მთლიანად გადაწერილი იყო ჟურნალიდან. აქ არ მიმართავენ გასარჩევი ლექციის წინასწარ რეცენზირებას. ზოგიერთი შტატგარეშე ლექტორი მთელი თვეობით არ კითხულობს ლექციას. მაგალითად, ლექტორს ამხ. ბეკოევას (სტალინირის პედაგოგიური ინსტიტუტის მარქსიზმ-ლენინიზმის კათედრის გამგე) ნახევარი წლის განმავლობაში არ წაუკითხავს ლექცია. იშვიათად კითხულობს ლექციებს ლექტორი ამხ. შავლოხოვიც. ქალაქ ჭიათურაში ლექციების ორ მესამედს ლექტორთა ჯგუფში განუხილველად კითხულობენ, ხოლო სხვებს ყურადღებით არ იხილავენ. მაგალითად, ლექტორ გ. შანიძის ლექცია მთლიანად გადაწერილი აღმოჩნდა, ხოლო ლექტორთა ჯგუფმა ეს ვერ შენიშნა განხილვის დროს. ჭიათურაში იშვიათი არ არის ლექციების ვადის გადადების და მათი ჩატარების ცუდი ორგანიზაციის შემთხვევები. ლენინისა და სტალინის სახელობის მაღაროებში, აგრეთვე ქალაქის საბჭოში, ბანკში, ფოსტაში და სტამბაში ხელმძღვანელი მუშაკები ხშირად არ ესწრებიან ლექციებს.

ბათუმში შედარებით უკეთ არის დაყენებული ლექციური პროპაგანდა, მაგრამ იქაც აქვს ადგილი ლექციების ჩაშლისა და ლექტორთა ჯგუფის მიერ განუხილველი ლექციების წაკითხვის შემთხვევებს. ერთფეროვანია ლექციების თემატიკაც. მცირე რაოდენობით იკითხება ლექციები მარქსისტულ-ლენინური ფილოსოფიიდან, ეკონომიური მეცნიერებიდან, ლიტერატურიდან და სხვ.

პროპაგანდისა და აგიტაციის მუშაკების ვალია დაეხმარონ ლექტორებს ლექციის გეგმის შედგენაში. არის ისეთი შემთხვევები, როცა ზოგიერთი ახალგაზრდა ლექტორი ლექციებს იწყებს მეტად შორიდან, ეკარგება ლექციის ძირითადი იდეა და ლექცია უფერული და ზერელე გამოდის. ამის მაგალითს წარმოადგენს სტალინირის საქალაქო კომიტეტის ლექტორის ამხ. ცახილოვის ლექცია „გერმანიის საგარეო პოლიტიკა“. ამხ. ცახილოვი გერმანიის საგარეო პოლიტიკის გადმოცემას იწყებს 1214 წლიდან, შემდეგ ეხება ჩუდის ტბაზე მომხდარ ბრძოლას, რუსების მიერ ბერლინის აღებას 1760 წელს, 1914-1918 წლების ომს და ათავებს ფაშიზმის საგარეო პოლიტიკის გადმოცემით. ცხადია, ამხ. ცახილოვი არ დაფიქრებია არც თავის შესაძლებლობას და არც იმას, რომ შვიდი საუკუნის მანძილზე გერმანიის საგარეო პოლიტიკის გადმოცემა ერთ ლექციაში შეუძლებელი იყო. ამიტომ ამხ. ცახილოვმა ვერ გააშუქა თემის ძირითადი საკითხი.

ჭიათურის საქალაქო კომიტეტის ლექტორის ამხ. ტყემალაძის ლექციაში („ბოლშევიკების პარტია ბრესტის ზავისათვის ბრძოლაში“) ერთ მესამედამდე შესავალს უჭირავს. შესავალში ლაპარაკია ისეთ საკითხებზე, რომელთაც უშუალო კავშირი არა აქვთ თემასთან.

ზოგიერთ ლექტორს მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსების შრომებიდან სწორად არ მოჰყავს ციტატები (ჭიათურა, ლექტორი ჯაოშვილი). ეს უნდა ავხსნათ ამ ლექტორების დაუდევრობით, ზოგჯერ ლექციებში არის ფაქტიური ხასიათის შეცდომები (შ. რუსიძის ლექცია — ბათუმი, ი. ჯანელიძის ლექცია — მახარაძის რაიონი), არასწორი და ბუნდოვანი წინადადებები (სოხუმი, პარტკაბინეტის შტატიანი კონსულტანტის ამხ. კუპრავას ლექცია). არიან ამხანაგები, რომლებიც სერიოზულად არ ამზადებენ თემას და ლექციის მაგივრად 15-20-წუთიან საუბარს ატარებენ. ზოგან ლექტორები მსმენელთა მიერ დასმულ კითხვებზე ვერ აძლევენ ამომწურავ პასუხს (ჭიათურა).

ბევრ ადგილას სუსტად მუშაობენ განათლების განყოფილებასთან არსებული სალექციო ბიუროები, რომლებიც მოწოდებული არიან მოსახლეობის ფართო ფენებისათვის, განსაკუთრებით სოფლად, სისტემატურად აწყობდნენ სამეცნიერო-პოპულარული ხასიათის ლექციებს ბუნებისმეტყველებიდან, ასტრონომიიდან, ლიტერატურიდან, მედიცინიდან, აგრონომიიდან და სხვ. საჭიროა გადაჭრით გავაუმჯობესოთ სალექციო ბიუროების მუშაობა. სამეცნიერო-პოპულარული ხასიათის ლექციები უნდა იდგნენ თანამედროვე მეცნიერების მიღწევების დონეზე და მათ მომზადებასა და ჩატარებაში ენერგიულ მონაწილეობას უნდა იღებდნენ შესაბამისი დარგის მეცნიერი მუშაკები და სამეცნიერო დაწესებულებები.

ნაკლოვანებანი ლექციური პროპაგანდის დაყენების საქმეში უმთავრესად იმით აიხსნება, რომ ზოგიერთი პარტიული ორგანიზაცია ჯეროვან ყურადღებას არ აქცევს ამ საქმეს. ლექტორთა ჯგუფები და პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილებანი არასაკმაოდ ახორციელებენ ლექციების ხარისხის კონტროლს, განსაკუთრებით იმ ლექციებისას, რომლებიც ტარდება რაიონებში ადგილობრივი პროპაგანდისტების ძალებით. აუცილებელია გამოვასწოროთ ეს მდგომარეობა. უნდა მივაღწიოთ იმას, რომ „არც ერთი ლექტორი დაშვებულ არ იქნას ლექციების წასაკითხავად, ვიდრე პარტიის ოლქკომისა ან რაიკომის პროპაგანდის განყოფილება წინასწარ არ შეამოწმებს ლექტორის მომზადების დონეს“ (საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1939 წ. 16 აგვისტოს დადგენილებიდან).

ნაკლოვანებათა აღმოფხვრით, ლექციური პროპაგანდის ხარისხის კიდევ უფრო გაუმჯობესებით მეტი დახმარება გავუწიოთ მარქსისტულ-ლენინური თეორიისა და ბოლშევიკური პარტიის გმირული ისტორიის დამოუკიდებლად შემსწავლელ ამხანაგებს.

**მ. ალექსიშვილი**

**საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პროპაგანდის სექტორის გამგე.**

## თემატიკის მრავალფეროვნებისათვის

ლექციები და მოხსენებები რაიონში ეწყობა საქართველოს კ. პ. (ბ) სტალინის რაიკომის გეგმის მიხედვით. გეგმებს ყოველთვიურად ადგენს რაიკომის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილება და ამტკიცებს რაიონული კომიტეტის ბიურო.

გასულ თვეში რაიონის პარტიული აქტივისათვის ჩატარდა დოცენტ დ. ენუქიძის ლექცია თემაზე—„ბოლშევიკური ორგანიზაციების შექმნა ამიერ-კავკასიაში“. ლექტორმა ბევრი საინტერესო მასალა გააცნო მსმენელებს. რაიონის სამეურნეო აქტივმა ინტერესით მოისმინა ლექციები დოცენტების—ირ. მიქელაძისა—„სოციალისტური საწარმოს მართვის ძირითადი პრინციპები“ და შ. გვათუასი—„საბჭოთა სახელმწიფო სამამულო ომის დროს“. რაიონის მოსახლეობისათვის მოეწყო ამხ. ფრიშენბერგის ლექცია საერთაშორისო მდგომარეობის შესახებ. ამხ. სულეიმანმა ლექცია წაიკითხა თემაზე—„სამამულო ომის მიმდინარე მომენტი და სსრ კავშირის საერთაშორისო მდგომარეობა“. ამ ლექციას, რომელიც ორჯონიკიძის სახელობის კულტურისა და დასვენების პარკში შესდგა, დიდძალი ხალხი დაესწრო.

თბილისის კომიტეტის ლექტორებთან ერთად რაიონში მოხსენებებით გამოდიან ხელმძღვანელი მუშაკები. რაიკომის მდივანმა ამხ. გ. ტატიშვილმა პროპაგანდისტთა და აგიტსემინარის ხელმძღვანელთათვის გააკეთა მოხსენება საბინაო ფართობის დაცვის შესახებ. მოსახლეობაში მომუშავე აგიტატორთათვის ამავე თემაზე მოხსენებით გამოვიდა რაისაბჭოს აღმასკომის კომუნალური მეურნეობის განყოფილების გამგე ამხ. ვ. ლელინი. კომკავშირის აქტივისათვის მოხსენება თემაზე—„ყოველმხრივი დახმარება ფრონტს“ გააკეთა საქართველოს ალკკ თბილისის ორგანიზაციის სტალინის რაიკომის მომხსენებელთა ჯგუფის ხელმძღვანელმა ამხ. რუბინშტეინმა. სალექციო მუშაობაში აგრეთვე ჩაბმული არიან რაიონის ტერიტორიაზე არსებული ინსტიტუტების პროფესორ-მასწავლებლები.

რაიონში ჯერ კიდევ არის ლექციების ჩაშლის შემთხვევები. მაგალითად, 27 სექტემბერს მაუდის ფაბრიკაში დღის 3 საათსა და 30 წუთზე დანიშნული იყო ლექცია თემაზე—„ქართველი მხედართმთავარი გიორგი სააკაძე“. ლექცია ჩაიშალა იმის გამო, რომ ლექტორი არ გამოცხადდა. სალექციო მუშაობის გეგმა არ ითვალისწინებს ყველა შესაძლებლობას, რაც რაიონს ამ მხრივ გააჩნია. რაიკომს შეუძლია ლექციების თემატიკა უფრო მრავალფეროვანი გახადოს. სექტემბრის და ოქტომბრის გეგმებში ცოტაა თემები საკავშირო კ. პ. (ბ) ისტორიის, სსრ კავშირის ხალხთა ისტორიის, ფილოსოფიის საკითხებზე.

სტალინის რაიონში ღირსშესანიშნავი ისტორიული ადგილებია, რომლებიც დაკავშირებულია დიდი ბელადის ამხანაგ სტალინის ცხოვრებასა და მოღვაწეობასთან. ამ ადგილების სანახავად მშრომელები მოდიან არა მარტო ჩვენი რესპუბლიკის, არამედ საბჭოთა ქვეყნის ყველა კუთხიდან. ასეთი ადგილებია: თბილისის გეოფიზიკური ობსერვატორია, სადაც 1899-1901 წლებში მუშაობდა დიდი სტალინი, ტრამვაის პარკი, სადაც 1900 წლის პირველ იანვარს გრანდიოზული გაფიცვა მოაწყეს ამხანაგმა სტალინმა და მისმა თანამებრძოლმა ლადო კეცხოველმა, პლეხანოვის პროსპექტზე—ჩოდრიშვილების სახელოსნო, კავკასიის ბოლშევიკების საბრძოლო შტაბის—კავკასიის კავშირის კომიტეტის კონსპირაციული ბინა 1904-1906 წლებში და სხვ. ამასთან დაკავშირებით რაიკომს შეეძლო უაღრესად საინტერესო ლექციების ჩატარება.

უნდა აღინიშნოს, რომ ლექციების რიცხვი ქართულ ენაზე საგრძნობლად ცოტაა. პარტიის რაიონულმა კომიტეტმა ამ გარემოებას ყურადღება უნდა მიაქციოს.

**ე. ვანიშვილი**

## გავაძლიეროთ კონტროლი ლექციის ხარისხზე

სამამულო ომის დღეებში თბილისის პარტიულმა ორგანიზაციებმა სალექციო მუშაობის საგრძნობი გამოცდილება შეიძინეს. საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილება რაიკომების მიერ წარმოდგენილ საორიენტაციო თემებს აზუსტებს საწარმო-დაწესებულებათა თავისებურობის გათვალისწინებით, ხოლო ლექციების გეგმის განხილვისას თათბირზე იწვევს რაიკომების პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილებათა გამგეებს.

თბილისის კომიტეტის სალექციო გეგმაში ასახულია დიდი სამამულო ომის, ლენინ-სტალინის დიადი პარტიის ისტორიის, სსრ კავშირისა და საქართველოს ისტორიის, ფილოსოფიის, ლიტერატურისა და მეცნიერების სხვა დარგების საკითხები. ამხანაგ სტალინის ისტორიული წიგნის „საბჭოთა კავშირის დიდი სამამულო ომის შესახებ“ შემსწავლელთა დასახმარებლად სისტემატურად იკითხება ლექციები ცალკეულ თემებზე. სათანადო ყურადღება ეთმობა ლექციების მოწყობას საქართველოსა და ამიერ-კავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების ისტორიის საკითხებზე, განსაკუთრებით ამხანაგ ლავრენტი ბერიას შესანიშნავი წიგნის „ამიერ-კავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების ისტორიის საკითხისათვის“ შემსწავლელთა დასახმარებლად. ამასთან ერთად თბილისის კომიტეტი ატარებს ლექციებს ქალაქის პარტიულ-სამეურნეო აქტივისათვის.

თბილისის კომიტეტს შემოკრებილი ჰყავს კვალიფიციურ ლექტორთა კადრები—3 შტატის ლექტორი და 60-მდე შტატგარეშე ლექტორი. ლექტორებად მუშაობენ პარტიული და სამეურნეო მუშაკები, მეცნიერები, ლიტერატორები. ლექტორის პირად ბარათში აღნიშნულია ის თემები, რომლებიც მას მომზადებული აქვს. ამავე დროს ლექტორები სისტემატურად მუშაობენ ახალი თემების მომზადებისათვის. ლ. კეცხოველის სახელობის საქალაქო პარტკაბინეტი ლექტორებს ეხმარება ლიტერატურით, კონსულტაციით, ბიბლიოგრაფიით. თუმცა იშვიათად, მაგრამ მაინც ხდება ლექტორთა ურთიერთდასწრება ლექციაზე.

ახალი თემების დამუშავების ხარისხი მოწმდება საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტთან არსებულ ლექტორთა ჯგუფის სხდომაზე. სხდომამდე წარმოდგენილ თემას სარეცენზიოდ გადასცემენ ლექტორთა ჯგუფის წევრს. ამ რეცენზიას და მთლიანად თემას საფუძვლიანად განიხილავს ლექტორთა ჯგუფის სხდომა. ლექტორს ეძლევა სათანადო მითითებები. ეს დიდ დახმარებას უწევს მას. აქვე აღსანიშნავია, რომ თბილისის კომიტეტის ლექტორთა ჯგუფი ყველა ლექტორის ლექციას როდი იხილავს. არიან ლექტორები, რომლებიც წლების განმავლობაში კითხულობენ და მათი ერთი ლექციაც არ არის განხილული სალექციო ჯგუფის სხდომაზე. ეს უსათუოდ დიდი ნაკლია.

თბილისის კომიტეტის ლექტორთა ჯგუფში აღიზარდნენ ლექტორთა ახალი კადრები. სამი წელია ლექტორად მუშაობს ამხ. ქსენია ანთაძე. მან გაუბედავად დაიწყო პირველი თემის დამუშავება, მაგრამ ყოველდღიური ზრუნვისა და დახმარების შედეგად, ლექტორთა ჯგუფზე მისი ლექციის გარჩევისა და მითითებების შემდეგ იგი ახლა თავის მოვალეობას კარგად ასრულებს. დიდი ხანი არ არის, რაც ლექტორთა ჯგუფში მუშაობს ამხ. კ. ალანია. მისი პირველი თემაა „საბჭოთა ახალგაზრდობის მორალური სახე სამამულო ომში“. ლექტორთა ჯგუფის სხდომაზე ამას წინათ განიხილეს ამხ. ალანიას ლექცია. ლექტორებმა აღნიშნეს, რომ ამხ. ალანიას საინტერესო მასალები დაუგროვებია სამამულო ომში საბჭოთა ახალგაზრდობის მონაწილეობის შესახებ. ამასთან ერთად მას მიუთითეს, რომ ლექციას აკლია განზოგადება და მასალათა ორგანული ურთიერთდაკავშირება. ლექტორმა ეს შენიშვნები მიიღო და ახლა ასწორებს ლექციას ლექტორთა ჯგუფის მითითებათა მიხედვით. მესამე ვაჟთა სკოლის სასწავლო ნაწილის გამგეს ამხ. ხარმარდარიანს პირველ ხანებში ლექციების კითხვისას ნაკლი ჰქონდა. ლექტორთა ჯგუფის მითითებების შედეგად მან ნაკლი გამოასწორა და ახლა მისი ლექციით აუდიტორია კმაყოფილია.

ლექტორთა კვალიფიკაციის ასამაღლებლად ეწყობა თათბირები. მათ დიდ დახმარებას უწევს აგრეთვე თბილისის კომიტეტში მოწყობილი სპეციალისტთა ლექციები საერთაშორისო საკითხებზე, პარტიის ისტორიიდან, ფილოსოფიიდან და სხვ.

თბილისის კომიტეტის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილება სწავლობს აუდიტორიის აზრს ლექციის შესახებ და მხედველობაში იღებს მსმენელთა შენიშვნებს. როგორც წესი, თბილისის კომიტეტის საგზურში, რომლითაც ლექტორი წარმოებაში მიდის, ლექციის დასასრულ შეფასებას სწერს პარტიული ორგანიზაციის ხელმძღვანელი, და ამის მიხედვითაც მსჯელობენ ჩატარებული ლექციის ავკარგიანობაზე.

სექტემბერში თბილისის კომიტეტმა 152 ლექცია და მოხსენება ჩაატარა. ოქტომბერში გათვალისწინებულია 144 ლექცია. ეს დიდი დახმარებაა ჩვენი კადრებისათვის, აქტივისათვის. ამასთან ერთად უნდა აღვნიშნოთ, რომ აუცილებელია მეტი ლექციები ეწყობოდეს საბუნებისმეტყველო-სამეცნიერო თემებზე.

**ლ. სტურუა**

## პარტორგანიზაციის მდივნის ანგარიში რაიკომის ბიუროზე

**მახარაძე** („კომუნისტის“ საკ. კორესპონდენტისაგან). საქართველოს კ. პ. (ბ) მახარაძის რაიკომის ბიურომ განიხილა სოფელ თხინვალის საკოლმეურნეო პირველადი პარტიული ორგანიზაციის მდივნის ამხ. შ. ურუშაძის ანგარიში.

მიღწევებთან ერთად ბიუროზე აღინიშნა პარტიული ორგანიზაციის მუშაობის სუსტი მხარეები. პარტიული ორგანიზაცია ვერ ახორციელებს კოლმეურნეობის გამგეობის საქმიანობის კონტროლის უფლებას და სუსტად რაზმავს კოლმეურნეებს საწარმოო დავალებათა შესასრულებლად. ამის გამო კოლმეურნეობა ჩამორჩება ჩაისა და ტუნგოს პლანტაციების მოვლაში. 109 ჰექტარი ჩაის პლანტაციიდან მეორედ გათოხნილია 38 ჰექტარი, ხოლო მესამედ—3 ჰექტარი; მოუვლელია 3,5 ჰექტარი ტუნგოს პლანტაცია.

წელს პარტიულ კრებაზე 14 სამეურნეო საკითხი განიხილეს; მოსმენილ იქნა კოლმეურნეობის თავმჯდომარისა და ბრიგადირების მოხსენებები. დღის წესრიგში ისმებოდა სხვა მნიშვნელოვანი სამეურნეო საკითხებიც. მათ ირგვლივ გამოჰქონდათ დადგენილებები, სახავდნენ ღონისძიებებს, მაგრამ არ ხდებოდა შესრულების შემოწმება.

პარტიული ორგანიზაცია სუსტ დახმარებასა და ხელმძღვანელობას უწევდა კოლმეურნეობასთან არსებულ კომკავშირის პირველადს ორგანიზაციას, ამის გამო იქ დაბალი იყო კომკავშირელთა ავანგარდული როლი.

ბიურომ პრაქტიკული ღონისძიებანი დაუსახა თხინვალის საკოლმეურნეო პარტიულ ორგანიზაციას ამ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად.

**ლ. ლოლაძე**

## საქართველოს კ. პ. (ბ) ქლუხორის რაიკომის პლენუმი

შესდგა საქართველოს კ. პ. (ბ) ქლუხორის რაიკომის მეორე პლენუმი. ქლუხორის პარტიული ორგანიზაციების რაიონული კრებას გადაწყვეტილებათა შესრულების მიმდინარეობის შესახებ მოხსენება გააკეთა რაიკომის მდივანმა ამხ. კვარაცხელიამ. კამათში გამოვიდნენ ამხანაგები: ჩიქვინიძე, ნიჟარაძე, ქურიძე, რეხვიაშვილი და სხვ.

მომხსენებლებმა და კამათში გამოსულმა ამხანაგებმა აღნიშნეს მნიშვნელოვანი წარმატებანი სოფლის მეურნეობის დარგში. კარგად ჩატარდა მარცვლეული კულტურების მოსავლის აღება. წელს საშუალოდ ჰექტარზე მოვიდა 17 ცენტნერი ქერი და 10 ცენტნერი ხორბალი. სოფელ ტებერდის სტალინის სახელობის კოლმეურნეობამ ჰექტარზე 18 ცენტნერი ქერი და 15 ცენტნერი ხორბალი მოიყვანა. ამჟამად კოლმეურნეობებში გაშლილია სიმინდის და კარტოფილის მოსავლის აღება. ჰექტარზე იღებენ 13 ცენტნერ სიმინდს და 10 ტონა კარტოფილს. წარმატებით მიმდინარეობს შემოდგომის ხვნა, რომლის გეგმა შესრულებულია 45 პროცენტით.

ბევრი რამ გაკეთდა ქალაქის კეთილმოწყობისათვის. რაიონის სამრეწველო საწარმოები საოქტომბრო შეჯიბრებაში არიან ჩაბმული და დღითი დღე ზრდიან პროდუქციის გამოშვებას, ამაღლებენ ხარისხს.

სააგიტაციო-საპროპაგანდო მუშაობის მდგომარეობის შესახებ მოხსენებით გამოვიდა რაიკომის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების გამგე ამხ. ხურცილავა. პლენუმმა მოისმინა აგრეთვე მოხსენება პარტიაში მიღების საკითხზე. კამათში მონაწილეობა მიიღეს ამხანაგებმა: ჩებანოვმა, გრიგორიანმა, რეხვიაშვილმა, თოფურიამ, ხიდაშელმა, ძღენტმა და სხვ.

პლენუმის დასასრულს სიტყვა წარმოსთქვა რაიკომის მდივანმა ამხ. ა. იმნაძემ.

განხილულ საკითხების გამო პლენუმმა პრაქტიკული ღონისძიებანი მიიღო.

**კ. მანკვეტაძე**

საქართველოს კ. პ. (ბ) ხაშურის რაიკომის პარტკაბინეტის გამგე გრ. მეტრეველი ხაშურის საქალაქო საბჭოს, კავშირგაბმულობის მუშაკებს, მტს-ის მუშა-მოსამსახურეებსა და ვაჟთა პირველი საშუალო სკოლის მოსწავლეებს უკითხავს ლექციას თემაზე: „უნგრეთი—გერმანიის ვასალი“.

ფოტო რ. აკოფოვისა.

### ალ. აბაშელი

## ჩემი მადლობა*

ეროვნული ბიბლიოთეკა

თითქო მოწაფე ვდგავარ დაფასთან,
გულს მღელვარების ალი ედება.
როგორ ამაღლდა, როგორ დაფასდა
დღეს ჩემი მცირე შემოქმედება!

მე ვადიდებდი ჩვენს უკვდავებას,
ვაჟკაცის ხმალთან ლექსით მივედი.
მაგრამ რაც შევქმენ — მეცოტავება,
გულს დარჩენია ხვალის იმედი.

შემომეშველოს დღე ხვალინდელი,
შევსძლო სიმღერით გულის ავსება,
იქნებ მოვასწრო კიდევ იმდენი,
რომ გავამართლო ეს დაფასება.

მე ჩემი ქვეყნის ვალი მედება,
ამიტომაც ვარ აღელვებული.
მღელვარე გულში აღარ მეტევა
მადლობის გრძნობა მოჭარბებული.

სხივი და ჩრდილი გარდასულ დღეთა
მე ჩემს ლექსებში დავაბინავე.
ახლა მომავალ დღეებსაც ვხედავ,
არწივებივით რომ მოფრინავენ.

მოაქვთ უცნობი სიტყვა ახალი,
შთაგონებათა ახალი წყება.
ასე მგონია, უფრო მაღლა
შემოქმედება ახლა იწყება.

მესმის მებრძოლი დღის მოწოდება:
სჭრიდეს კალამი როგორც ხანჯალი!
კიდევ მიწყვია გულში ზოდებად
ლექსების ოქრო დაუხარჯავი.

მინდა ამოვსწვა მე ეს მადანი,
ამოვალაგო ოქრო რაც არის,
რომ აღარ დარჩეს ამოსატანი
ანთებულ სიტყვის ერთი მარცვალიც.

შემდეგ უსაზღვრო მყუდროებაში
გადავისროლო დაცლილი გული,
ოღონდ პოეტთა მშობლიურ ბაღში
მეც დამრჩეს სიტყვა აყვავებული.

ჰქროდეს ნიავი, ბაღი მღეროდეს,
ჩემიც ისმოდეს მწყობრში ძახილი,
ჩვენს წმინდა კერას მზე დასცქეროდეს
სამარადისოდ ნისლ გადაყრილი.

და შემოსილი მზიური ალით,
თოვლიან მთებით ცამდე ასული,
ბრწყინავდეს ქართლი—ფირუზის
თვალი,
კავკასიონის ბროლში ჩასმული.

23 ოქტომბერი 1944 წ.

---

*) ეს ლექსი ალ. აბაშელმა წაიკითხა მის საიუბილეო საღამოზე რუსთაველის თეატრში 1944 წ. 23 ოქტომბერს.

## გადაცემა მედლისა „კავკასიის დაცვისათვის“

**ტყიბული** („კომუნისტის“ საკ. კორესპონდენტისაგან). 22 ოქტომბერს ტყიბულის რაიონის მოწინავე ადამიანებს გადაეცა საამაყო ჯილდო—მედალი „კავკასიის დაცვისათვის“.

სარაიონო თეატრში თავი მოიყარეს მეშახტეებმა, კოლმეურნეებმა, რაიონის პარტიულმა და სამეურნეო მუშაკებმა, იმათ, ვინც ზურგში მაღალნაყოფიერი შრომით იბრძოდა მშობლიური კავკასიის დასაცავად.

დაჯილდოებულთ მედლები გადასცა მშრომელთა დეპუტატების ტყიბულის რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ ამხ. ი. გორგიძემ.

სამშობლოს ჯილდოები მიიღეს: ლენინის სახელობის შახტის უფროსმა ნ. კვინიხიძემ და ამავე შახტის ზეინკალმა ს. ბაკურაძემ, ტყიბულის რაიმიწგანის გამგემ ვ. კორძაძემ და უფროსმა აგრონომმა ი. გიორგობიანმა, სტალინის სახელობის შახტის პარტბიუროს მდივანმა რ. სადუნიშვილმა და იმავე შახტის მოწინავე ცვლის უფროსმა ა. გაბრიაძემ, საქართველოს კ. პ. (ბ) ტყიბულის რაიკომის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების გამგემ გ. ნასარაიამ, ახალსოფლის კოლმეურნეობის თავმჯდომარე გ. გვენეტაძემ, კოლმეურნე ბენია ხუციბერიძემ და მისმა შვილმა მეშახტე შოთა ხუციბერიძემ, გელათის მაღაროს პარტბიუროს მდივანმა ბ. კობახიძემ და სხვებმა. მედალი „კავკასიის დაცვისათვის“ მიიღო რაიონის 114 მოწინავე ადამიანმა.

დაჯილდოებულთა სახელით გამოვიდნენ: ა. ყიფიანი, პ. გძელიშვილი, შ. კახიძე და ვ. კორძაძე.

**დ. ქათამაძე**

**თელავი** („კომუნისტის“ საკ. კორესპონდენტისაგან). 22 ოქტომბერს თელავის სახელმწიფო თეატრში მშრომელთა დეპუტატების თელავის რაიონული საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ ამხ. არ. უთიაშვილმა მედალი „კავკასიის დაცვისათვის“ გადასცა რაიონის წარჩინებულ ადამიანებს.

მედლები მიიღეს თელავის აბრეშუმის ძაფსაღები ფაბრიკის საამქროს უფროსმა, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატმა ამხ. ნ. დევიძემ, ფაბრიკის ბრიგადირმა სონა უთალიშვილმა, ახმეტის ხე-ტყის სახერხი კომბინატის ორასოვნებმა თამარ მუმლაურმა და მარიამ ხოხობაშვილმა, ექიმებმა შალვა გვიშიანმა, შალვა დეკანოზიშვილმა და ნიკოლოზ ზაუტაშვილმა. მედლები გადაეცათ აგრეთვე კურდღელაურის 26 კომისრის სახელობის კოლმეურნეობის ორდენოსან თავმჯდომარეს მიხეილ გიორგანაშვილს, ამ კოლმეურნეობის მედალოსან ბრიგადირს ბესო ბაბუნიძეს, სანიორის კოლმეურნეობა „პირველი მაისის“ თავმჯდომარეს ბუღდან თათულოვს, მეაბრეშუმეობის ნოვატორს ორდენოსან ოსანა აივაზაშვილს და სხვებს.

საამაყო ჯილდო—მედალი „კავკასიის დაცვისათვის“ მიიღო რაიონის 193 წარჩინებულმა ადამიანმა.

დაჯილდოებულთა სახელით სიტყვებით გამოვიდნენ და ახალი ვალდებულებანი იკისრეს აბრეშუმის ძაფსაღები ფაბრიკის ბრიგადირმა სონა უთალიშვილმა, სოფელ არაშენდის ვოროშილოვის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარემ ამხ. ქ. ხუგაშვილმა, იყალთოს სასოფლო საბჭოს თავმჯდომარემ ამხ. ა. ჭიბალაშვილმა და სხვებმა.

**ს. ქოჩლაძე**

### კომკავშირულ თემაზე

## აგიტაცია კომკავშირის ღვიძლი საქმეა

მოძალებულია საშემოდგომო სამუშაოები. ერთი საათის გაცდენაც ზარალია კოლმეურნეობისათვის. ტბის (ბორჯომის რაიონი) კოლმეურნეობის მემინდვრეობის მე-2 ბრიგადის წევრი მარო ლომიძე კი უმიზეზოდ აცდენს სამუშაო დღეებს, სეირნობაში ატარებს დროს. მე-2 ბრიგადაში საკოლმეურნეო კომკავშირული ორგანიზაციის მდივანი მარგალიტა ლურსმანაშვილი ატარებს აგიტსაუბრებს.

თუ რატომ არ დადის სამუშაოდ ლომიძე, ამ კითხვას ერთხელაც არ დაუინტერესებია აგიტატორი. ის მართალია დადის ველად, მაგრამ მარტო სიარული ხომ არ კმარა. ამხ. ლურსმანაშვილი მსმენელებთან მხოლოდ გაზეთს კითხულობს და ამით ამოსწურავს თავის სააგიტაციო საქმიანობას. აგიტატორს არ უსაუბრნია კოლმეურნეებთან იმის შესახებ, თუ როგორ ასრულებს მე-2 ბრიგადა მის წინაშე მდგომ ამოცანებს.

ვილაპარაკოთ ამ პატარა სოფლის სხვა აგიტატორებზეც. აქ კიდევ ორი აგიტატორია — თამარ და ნორა ლურსმანაშვილები. ისინიც ვერ დაიტრაბახებენ კარგ მუშაობას.

საკოლმეურნეო კომკავშირულმა ორგანიზაციამ დაინახა, რომ აგიტატორი თამარ ლურსმანაშვილი ცუდად მუშაობდა. კომკავშირის კრებაზე მოისმინეს ეს საკითხი, მიიღეს დადგენილება. ამის შემდეგაც აგიტატორ თამარ ლურსმანაშვილს მუშაობა არ გაუუმჯობესებია.

ფრონტელის დედა მოწინავე კოლმეურნე ანიკო ხაჩიძე სამართლიანად აცხადებს: შარშან აგიტატორები სულ ჩვენთან იყვნენ, სავალე გაზეთებსაც უშვებდნენ. გვეხმარებოდნენ მუშაობის საუკეთესოდ მოწყობაში. ახლა კი აღარ მოდიან, თავი მიანებეს მუშაობას. ჩვენ გვსურს მოვისმინოთ აგიტატორის საუბარი იმ სასიხარულო დღეების შესახებ, რომლებსაც ამჟამად ჩვენი ქვეყანა განიცდის.

„ზაფხულის ცხარე მუშაობის დღეებში“ ცემის კოლმეურნეობის მეორე ბრიგადის წევრები დ. გოგოლაძე, ე. ტაბატაძე, ქ. ფატარიძე, მ. ჩაჩანიძე და სხვ. არ ასრულებდნენ კოლმეურნეობის გამგეობის დავალებებს. ასე იქცევიან ისინი ახლაც — მოსავლის აღების დროს. არც თვითონ მუშაობენ და სხვებსაც გულს უცრუებენ. ჰყავს თუ არა ამ ბრიგადას აგიტატორი? კოლმეურნეები ამბობენ: კარგა ხანია ჩვენთან სააგიტაციო საუბარი აღარავის ჩაუტარებიაო. და მართლაც კომკავშირელი აგიტატორები თინა მაისურაძე და ზინა ბუზალაძე მთელი გაზაფხულისა და ზაფხულის განმავლობაში არავის უნახავს ბრიგადაში. მათ დაივიწყეს, რომ აგიტატორები არიან.

აგიტატორი ნათელა ტაბატაძე (ცემის კოლმეურნეობა) აცხადებს, რომ მას 9 ივლისის შემდეგ ჩატარებული საუბრები აღარ აღურიცხავს. მაგრამ უმჯობესია ითქვას: საუბარი მას არც ჩაუტარებია. იგი თვითონ ამბობს 20 დღე ისე გავიდა, გაზეთი არ წამიკითხავსო. მან არ იცის, რა ამბები მოხდა რუმინეთში, ფინეთში, ბულგარეთში. ყოველივე ამის შემდეგ ცხადია, თუ როგორ ასრულებს იგი აგიტატორის მოვალეობას. ასევე ცუდად მუშაობს აგიტატორი ლენა გოგოლაძე.

რას აკეთებს ცემის საკოლმეურნეო კომკავშირული ორგანიზაცია?

როგორც მისი მდივნის გალინა ტაბატაძის განცხადებიდან და კრების ოქმებიდან სჩანს, კომკავშირის თითქმის ყველა კრებაზე იხილავენ საკითხს სააგიტაციო მუშაობის გაუმჯობესების შესახებ, გამოაქვთ დადგენილებები, ხოლო მათი განხორციელებისათვის თავს არავინ იწუხებს.

ნათქვამიდან ცხადია, რომ ტბისა და ცემის კოლმეურნეობებში სააგიტაციო-მასობრივი მუშაობა, მეტი რომ არა ვთქვათ, ძლიერ სუსტად არის დაყენებული. ეს გავლენას ახდენს ამ კოლმეურნეობების სამეურნეო წარმატებებზე. ტბელი და ცემელი აგიტატორები თავიანთ მოვალეობას პირნათლად რომ ასრულებდნენ, კოლმეურნეობებს უკეთესი მიღწევები ექნებოდათ.

განა კომკავშირის ორგანიზაციებს ამ მდგომარეობის გამოსწორება არ შეუძლიათ? შეუძლიათ და უნდა გამოასწორონ კიდეც.

**ვ. გელაშვილი**

## მახარაძის რაიონმა ჩაის კრეფის გეგმა შეასრულა

მახარაძის რაიონმა 25 ოქტომბრისათვის 100,1 პროცენტით შეასრულა ჩაის ფოთლის კრეფის წლიური გეგმა. მოკრეფილია და სახელმწიფოს ჩაბარდა 11.248 ტონა ფოთოლი. მოკრეფილი ფოთლიდან 4.466 ტონა პირველი ხარისხისაა.

**საქართველოს კ. პ. (ბ) მახარაძის რაიკომის მდივანი ვ. სიხარულიძე**

**რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ვ. ტრაპაიძე**

## გეგმების შესრულება

გაგრის რაიონმა თამბაქოს აღებისა და სახელმწიფოსათვის ჩაბარების წლიური გეგმა 20 ოქტომბრისათვის შეასრულა 102 პროცენტით. თამბაქოს ჩაბარება გრძელდება. მოპოვებული გამარჯვებისათვის გაგრის რაიონმა მიიღო საქართველოს კ. პ. (ბ) აფხაზეთის საოლქო კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშა.

* * *

20 ოქტომბრისათვის ხაშურის მტს-მა წლიური გეგმა 101,5 პროცენტით შეასრულა. ხვნა, თესვა და სხვ. სამუშაო ნაცვლად 9.450 ჰექტარისა შესრულებულია 9.585 ჰექტარზე. მ. ლაცაბიძის სატრაქტორო ბრიგადამ წლიური გეგმა 120 პროცენტით შეასრულა, ალ. კიკნაძის ბრიგადამ—117-ით, ბ. ოსკანოვის ბრიგადამ—109-ით, გ. მოსიაშვილის ბრიგადამ—108 პროცენტით.

**ხაშურის მტს-ის დირექტორი ბაბნიძე**

# საერთაშორისო მიმოხილვა

წითელმა არმიამ გერმანელ ფაშისტ დამპყრობთაგან გასწმინდა თითქმის მთელი ბალტიისპირეთი, რკინის რკალად შემოერტყა აღმოსავლეთ პრუსიას და შეიჭრა მის ტერიტორიაზე.

„რუსები უმაგალითო სისწრაფით მიდიან წინ და 6 დღის ბრძოლებში თითქმის 90 მილი გაიარესო“,—სწერდა საბჭოთა ჯარების ბალტიისპირეთის ოპერაციებზე პოლ უინტერტონი „ნიუს ქრონიკლში“.

გერმანელი რადიომიმომხილველი დიტმარი ამაოდ ცდილობს დაამშვიდოს გერმანელები: „სრულიადაც არ შეიძლება ეჭვი ვიქონიოთ, რომ ახლანდელ სიტუაციაში არც ერთ მომენტს არა აქვს ჩვენთვის ისეთი მნიშვნელობა, როგორც ფრონტის მაქსიმალურად შემოკლებას. პირდაპირი თავდაცვის დედაარსი იმაში მდგომარეობს, რომ იმათთვის, ვინც ამ თავდაცვით უნდა ისარგებლოს, უცილობლად საზარალოა ყოველი ზედმეტი დასაცავი ტერიტორია“.

ამრიგად, დიტმარის სიტყვებით გამოდის, რომ ჰიტლერის ყოველი ახალი მარცხი, რომელსაც თუნდაც გერმანიის მიწა-წყლის დაკარგვა მოსდევდეს, გერმანელებს უნდა ახარებდეს, ვინაიდან ფრონტის ხაზი მოკლდება.

მაგრამ დიტმარის ეს სისულელეები არ სჯერა თვით გებელსს, რომელმაც თავის გამოსვლაში რადიოთი „მოუწოდა გერმანელებს, თქვენი სხეულით გააკეთეთ ცოცხალი კედელი, რომელიც შეაჩერებს მოკავშირეთა ჯარების შემტევ ნიაღვარსო“, ე. ი. გერმანიის სამოქალაქო მოსახლეობას მოუწოდა შეასრულოს ის, რისი შესრულებაც გერმანიის არმიამ ვერ მოახერხა.

საბოლოო კატასტროფის აჩრდილი თვალწინ უდგას ყოველ გერმანელს. წითელმა არმიამ გადალახა უკანასკნელი კილომეტრები, რომლებიც მას ფაშისტი მხეცის ბუნაგს აშორებდა. ჰიტლერმა ძირითად ძალებს თავი მოუყარა აღმოსავლეთში, აქ გადმოიყვანა თავისი დივიზიები ნორვეგიიდან და ჰოლანდიიდან, აგრეთვე თავისი რეზერვების ნაშთები გერმანიიდან, ხოლო დასავლეთში 600-კილომეტრიან ფრონტზე თავის დასაცავად მოკავშირეთა ორ-სამმილიონიან არმიას სულ რაღაც 300-450 ათასი კაცი დაუპირისპირა. ორი მეომარი მხარის ძალთა ამ თანაფარდობას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება, თუ მხედველობაში მივიღებთ ლონდონის რადიოს სამხედრო მიმომხილველ პატრიკ ლეისის კომენტარს. ამ მიმომხილველმა განაცხადა, რომ „გერმანელები — ანდა ყოველ შემთხვევაში ზოგი მათგანი — ისევ დარწმუნებული არიან, რომ ინგლის-ამერიკის ამა წლის ღონისძიებებს ჯერ კიდევ არ მიუღწევიათ თავიანთი უმაღლესი წერტილისათვის“.

წითელი არმიის დარტყმების შედეგად ფაშისტური ბლოკის დარღვევამ გერმანიის სამხედრო ეკონომიკა განსაკუთრებით კრიტიკულ მდგომარეობაში ჩააყენა. გერმანიის რკინის მადნის მარაგი გასულ წელთან შედარებით 65 პროცენტით შემცირდა. ამა წლის დამდეგთან შედარებით თუჯის წარმოებამ 20 მილიონი ტონით ანუ 45 პროცენტით იკლო. ფოლადის გამოშვება 40 პროცენტით შემცირდა, სპილენძისა—60 პროცენტით. ქრომის იმპორტი სრულიად შესწყდა. ორი მესამედით შემცირდა მოლიბდენის საერთო მარაგი, ბოქსიტებისა — სანახევროდ. კობალტის 80 პროცენტი ფინეთიდან შედიოდა, გერმანიამ დაჰკარგა კობალტიც და პეტსამოს ნიკელიც. გერმანიაში ვოლფრამის შეტანა შესწყდა.

ფინეთის კაპიტულაციამ საფრთხე შეუქმნა გერმანიისათვის შვედური ნედლეულის წყაროებს. სანამ შვეცია ჰიტლერელთა მუხრუჭში იმყოფებოდა, ჰიტლერს პირველხარისხოვანი შვედური მადანიც ჰქონდა და პირველხარისხოვანი შვედური ბურთულსაკისრებიც. ახლა უკვე შესწყდა შვედური ბურთულსაკისრების გერმანიაში გაზიდვა.

რაც შეეხება ჩვენს მოკავშირეებს, საომარი მოქმედების რაიონი დასავლეთში 60 კილომეტრზეა გერმანიის ეკონომიკის ძირითადი ბაზიდან — რურიდან და საარის ოლქიდან.

შემთხვევითი როდია, რომ „საზიზღარი პიროვნებანი“ და „გამცემნი“ ამ უკანასკნელ ხანს ფაშისტ მჯღაბნელთა მუდმივი თემაა.

20 ივლისს ბომბი აფეთქდა ჰიტლერის ბანაკში. ასობით ადამიანი დახვრიტეს, ათიათასობით დააპატიმრეს, ჰიტლერი და ჰიმლერი მძვინვარებენ. როცა ასამართლებდნენ პოლკოვნიკ ფონ-შტაუფენბერგს, რომელმაც ბომბი ისროლა ჰიტლერის ბანაკში, გამოირკვა, რომ თავდასხმამდე იგი უკვე ორჯერ ყოფილა ოთახში ჰიტლერთან და პორტფელში ჯოჯოხეთის მანქანები ჰქონია. როცა სასამართლო დაინტერესდა, თუ რატომ წინათ არ გამოიყენა ფონ-შტაუფენბერგმა თავდასხმის შესაძლებლობა, ამ უკანასკნელმა უპასუხა: „ჰიტლერთან ჰიმლერი არ იყოო“.

ალსასრულის წინ ჰიტლერელები აძლიერებენ აღვირახსნილ ტერორს და ცდილობენ თავიდან მოიშორონ შინაური მტრები. ტიურინგიაში, ბუხენვალდის საკონცენტრაციო ბანაკში მათ მოჰკლეს ერნსტ ტელმანი და რუდოლფ ბრაიტშაიდი. ავსტრიაში გარდუვალი არეულობის შიშით ჰიტლერელებს საშინელ პირობებში, უსასტიკესი მეთვალყურეობის ქვეშ ბერლინის ახლო საკონცენტრაციო ბანაკში ჰყავთ გამომწყვდეული ავსტრიის ყოფილი კანცლერი შუშნიგი. 47 წლის კანცლერი ღრმა მოხუცად იქცა.

ჰიტლერელები თავზარდაცემულნი შესცქერიან უცხოელ მუშებს, რომლებიც ფაშისტმა ჯალათებმა ოკუპირებული ქვეყნებიდან გერმანიის ქარხნებში და გერმანელ მემამულეთა მამულებში მირეკეს. ბერნის გაზეთი „ბუნდი“ სტატიაში „უცხოელები გერმანიაში ტროადის ცხენს წარმოადგენენ“ მკაფიო ფერადებით ხატავს ფაშისტ მონათმფლობელთა ამ პირუტყვულ შიშს. გაზეთი აღნიშნავს, რომ გერმანელთა ყოველ საშუალო ზომის მამულში 50-მდე უცხოელი მუშაობს. რურში, საარის ოლქსა და ზემოსილეზიაში მუშათა მნიშვნელოვან ნაწილს აგრეთვე უცხოელები შეადგენენ. უცხოელი მუშების მხრივ შურისგების აჩრდილი თავს დასწოლია დამფრთხალ მონათმფლობელებს.

გერმანელი იმპერიალისტები, რომლებმაც შეიგნეს გერმანიის დამარცხების გარდუვალობა, უკვე ახლა ემზადებიან მომავალი რევანშისათვის. გერმანიის „შრომის ფრონტის“ ხელმძღვანელმა ლეიმ განაცხადა, რომ ჰიტლერის წინააღმდეგ მოწყობილ შეთქმულებას სათავეში ედგნენ ბარონები და გრაფები, ე. ი. გერმანიის მმართველი წრეები, რომლებიც ჰიტლერს მიჰყვებოდნენ, როცა მას გერმანია მსოფლიო ბატონობისაკენ მიჰყავდა, და რომლებსაც ამჟამად სურთ თავიდან მოიშორონ იგი, ვინაიდან მან გერმანია საბოლოო კატასტროფისაკენ მიჰყავსო. გერმანელი იმპერიალისტები ცდილობენ გადაარჩინონ გერმანიის იმპერიის ნამსხვრევები მომავალი რევანშისათვის. უკვე ახლა ჰიმლერი ამ მიზნით აკოწიწებს საიდუმლო ორგანიზაციებს, რომლებსაც დიდ სახსრებს აძლევენ. ჯერ კიდევ სულ ცოტა ხნის წინათ ერთი გერმანული ფაშისტური გაზეთი სწერდა, თუ მხედველობაში მივიღებთ, რომ გერმანიაში მოსახლეობის კლება უფრო მცირეა, ვიდრე ევროპის სხვა ქვეყნებში (რასაკვირველია, ფაშისტმა ჯალათებმა მილიონები გაჟლიტეს), — იმ დასკვნამდე უნდა მივიდეთ, რომ 20 წლის შემდეგ გერმანია უფრო ხელსაყრელ მდგომარეობაში იქნება, ვიდრე 1939 წელს იყოო. რას ნიშნავს ეს? გერმანიამ 1939 წელს მეორე მსოფლიო ომი გააჩაღა, ხოლო 20 წლის შემდეგ შეუძლია უფრო ხელსაყრელ პირობებში გააჩაღოს ახალი ხოცვა-ჟლეტაო.

ვერსალის ხელშეკრულებამ საშუალება მისცა გერმანიას შეენარჩუნებინა გერმანიის იმპერიის მთლიანობა და გერმანიის არმიის ბირთვი. 20 წლის შემდეგ კაცობრიობას ძვირად დაუჯდა ვერსალის შეცდომები.

გერმანიის სრული განადგურება, სასტიკი და სამართლიანი მიზღვევა, გერმანელი მტაცებლის გაუვნებლება სავსებით და მისთვის იმის შესაძლებლობის წართმევა, რომ ყაჩაღური აგრესია გაიმეოროს, — თავისუფლებისმოყვარე ხალხთა ამ მოთხოვნამ უნდა უზრუნველჰყოს ხანგრძლივი და მტკიცე მშვიდობიანობა და უშიშროება ყველა მშვიდობისმოყვარე ხალხთათვის.

* * *

დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრ უინსტონ ჩერჩილისა და საგარეო საქმეთა მინისტრ ანტონი იდენის მოსკოვში დარბაზობისა და საბჭოთა მთავრობის მეთაურ ამხანაგ ი. ბ. სტალინთან და სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სახალხო კომისარ ამხ. ვ. მ. მოლოტოვთან მათი მოლაპარაკების დროს განხილულ იქნა როგორც სამხედრო, ისე პოლიტიკურ საკითხთა მეტად ფართო წრე. მნიშვნელოვანი წარმატება მიღწეულ იქნა პოლონეთის საკითხის გადაწყვეტაში.

თავისთავად ცხადია, რომ ჩვენი მეზობელი უნდა იყოს თავისუფალი, ძლიერი, დემოკრატიული პოლონეთი, რომელმაც ერთხელ და სამუდამოდ აიღო ხელი დამპყრობლურ მისწრაფებებზე უკრაინელი და ბელორუსი ხალხების მიმართ. ეს აშკარა ჭეშმარიტება ახამარებს იმ უბადრუკ პოლიტიკანებს, რომელნიც სულს უხუთავდნენ პოლონელ ხალხს ფეოდალ-მემამულეთა უღელქვეშ და რომლებმაც თავიანთი ჭკუამოკლე რეაქციული და ავანტიურისტული პოლიტიკით პოლონეთი გადააქციეს შფოთიანობისა და ომის საშიშროების კერად საბჭოთა კავშირის დასავლეთ საზღვრებზე.

სოსნკოვსკის ბანდა, რომელსაც სურდა ყველა საშუალებით, რადაც უნდა დასჯდომოდა, ჩაეშალა პოლონეთის ნაციონალური განთავისუფლების კომიტეტთან შეთანხმების ყოველგვარი შესაძლებლობა, მოვლენათა მსვლელობამ გააძევა პოლიტიკური ცხოვრებიდან. როგორც უცხოეთის პრესა იუწყება, ბევრი პოლონელი რეაქციონერი ემიგრანტი დარწმუნდა, რომ თანამედროვე პოლონეთში მათ არაფერი აქვთ საკეთებელი. თვითონ პან სოსნკოვსკიმ დიდი მამული იყიდა პარანაში (ბრაზილია) და აპირებს მესაქონლეობას მიჰყოს ხელი.

* * *

7 ნოემბერს მოხდება ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის არჩევნები. რესპუბლიკელებს, რომლებსაც მხარს უჭერენ ფორდი, ჰერსტი, მაკ-კორმიკი, პატერსონი და სხვა პროფაშისტი იზოლაციონისტები, დიდი ფულადი სახსრები მოეპოვებათ. მათ ფართო აგიტაცია გააჩაღეს რუზველტის წინააღმდეგ. იმ მიზნით, რომ მუშათა კლასის ჩამორჩენილი ელემენტები მიიმხრონ, ისინი დემაგოგიურად აცხადებენ, ყველა დემობილიზებულს სამუშაოს მივცემთ და უმუშევრობას აღმოვფხვრითო. პატარა ქვეყნებიდან გამოსული ემიგრანტების ხმები რომ მიიზიდონ, ისინი დემაგოგიურად გამოსთქვამენ გულისწყრომას — უშიშროების საერთაშორისო ორგანიზაციის შექმნის საკითხზე ვაშინგტონში მომხდარ წინასწარ მოლაპარაკებას პატარა ქვეყნების წარმომადგენლები არ ესწრებოდნენო. იმ მიზნით, რომ ზანგები მიიმხრონ, დემაგოგიურად ელაქუცებიან მათ. ილინოისის შტატის გუბერნატორმა რესპუბლიკელმა გრინმა სასამართლო თანამდებობაზეც კი დანიშნა ზანგი პრესკოტი, იმის გათვალისწინებით, რომ მარტო ჩიკაგოში 350 ათასი ზანგი ცხოვრობს. ისინი მხედველობაში იღებენ, რომ რუზველტის საგარეო პოლიტიკა თითქმის საყოველთაო მოწონებით სარგებლობს. ამიტომ თავს ისე აჩვენებენ, თითქოს ამ პოლიტიკის მომხრენი არიან და აცხადებენ: „თუ პრეზიდენტად ჩვენს კანდიდატს აირჩევთ, იგი საგარეო საქმეთა მინისტრად რუზველტს დანიშნავსო“. ამ ცოტა ხნის წინათ რესპუბლიკელებმა მოიწვიეს იმ გუბერნატორთა ყრილობა, რომლებიც რესპუბლიკელთა პარტიას ეკუთვნიან. 48 შტატიდან 28 შტატში გუბერნატორებად რესპუბლიკელები არიან და ამ შტატების წილად საარჩევნო კოლეგიაში 531 ხმიდან 339 ხმა მოდის.

მაგრამ რაკი იციან, რომ ყველა ამომრჩეველთა 80 პროცენტი რუზველტის მომხრეა, რესპუბლიკელები პრეზიდენტის არჩევნების პერსპექტივის განსაზღვრისას შემდეგი ფორმულით ხელმძღვანელობენ: საერთოდ, რაც უფრო ნაკლები ხმა იქნება მიცემული, არჩევის მით უფრო მეტი შანსი ექნება დიუის. ისინი ვარაუდობენ, რომ თუ ხმას მისცემს 50 მილიონი ამომრჩეველი, როგორც 1936 წელს მოხდა, რუზველტი გაიმარჯვებს, ხოლო თუ ხმას მისცემს 42 მილიონი — გაიმარჯვებს დიუი.

რესპუბლიკელთა მისწრაფება იმაში მდგომარეობს, რომ გააძნელონ ამომრჩეველთა გამოცხადება საარჩევნო ყუთებთან. ამერიკის შრომის ფედერაციის ხელმძღვანელი გრინი, რომელიც ცნობილია თავისი არა ერთი გალაშქრებით რუზველტის წინააღმდეგ, მოუწოდებს — „შეიქმნას ამერიკის შრომის ფედერაციის პოლიტიკური მოქმედების ათასი საოლქო და ადგილობრივი კომიტეტი უპარტიო საფუძველზე“, ე. ი. ისეთი კომიტეტები, რომლებიც პრეზიდენტობის ამ ორი კანდიდატიდან არც ერთს არ დაუჭერენ მხარს. ამით მას სურს ზიანი მიაყენოს რუზველტის შანსებს.

რუზველტს მხარს უჭერენ დემოკრატიული პარტია, კომუნისტური პარტია და პროფკავშირთა უმეტესობა. თვითონ რუზველტი მეტად ფრთხილად და მორიდებულად აფასებს არჩევნების პერსპექტივებს: როცა პრეზიდენტს ჰკითხეს როგორ უყურებ არჩევნების მომავალ შედეგებსო, რუზველტმა სიცილით უპასუხა, ჩემის აზრით, არჩევნების შედეგი საკმაოდ კარგი იქნებაო, მაგრამ დასძინა, მე ჯერ არასოდეს სწორად არ მიწინასწარმეტყველნია არჩევნების შედეგებიო.

**დ. ზავრიევი**

# დეპეშები

## საომარი მოქმედება დასავლეთ ევროპაში

**ლონდონი,** 25 ოქტომბერი. (საკდესი). მოკავშირეთა საექსპედიციო ძალების უმაღლესი სარდლობის შტაბის ცნობაში ნათქვამია:

მოკავშირეთა ჯარები ოოსტბურგსა და პინდორფს მიადგნენ. აღნიშნულია აგრეთვე ერთგვარი წინსვლა ვუნსდრეხტის ჩრდილოეთით და ჩრდილო-აღმოსავლეთით. მოკავშირეთა ჯარები ბრძოლებს ეწევიან გერტოგენბოშის გარეუბნებში. გზატკეცილი და რკინიგზა ამ ქალაქის ჩრდილოეთით და სამხრეთით გადაჭრილია.

აახენისა და ლუნევილის ჩრდილოეთით მდებარე უბანზე არსებითი ცვლილება არ მომხდარა.

მდინარე მოზელის ხეობაში პატრულების მოქმედება გრძელდებოდა.

ბიაჩის სექტორში მოკავშირეებმა აიღეს მენარმონი და წინ წაიწიეს ეპინალის ჩრდილო-აღმოსავლეთით.

ვოგეზის მთების რაიონში მოკავშირეთა ჯარებმა პოზიციები გაიუმჯობესეს.

ავიაცია დახმარებას უწევდა მოკავშირეთა სახმელეთო ნაწილებს ზიიდ-ბეველანდის ნახევარკუნძულზე და დაბომბა მოწინააღმდეგის სამხედრო ობიექტები ჰოლანდიისა და დასავლეთ გერმანიაში.

**ლონდონი,** 26 ოქტომბერი. (საკდესი). მოკავშირეთა საექსპედიციო ძალების უმაღლესი სარდლობის შტაბის ცნობაში ნათქვამია:

მოკავშირეთა ჯარებმა, რომლებიც ბრძოლებს ეწევიან გერტოგენბოშში, განდევნეს მოწინააღმდეგე ქალაქის ჩრდილოეთ და აღმოსავლეთ ნაწილიდან. განთავისუფლებულია ქალაქი ბოქსტელი, და მოკავშირეთა ჯარებმა წინ წაიწიეს რამდენიმე მილით ამ ქალაქის ჩრდილო-დასავლეთისაკენ.

შელდის რაიონში, სადაც მოწინააღმდეგის ჯარები ტომარაში იმყოფებიან, მოკავშირეებმა წინ წაიწიეს პოლდერტიესაკენ. კვლავ დაკავებულია ფრედერიკ-ჰენდრიკის ფორტი, რომელიც მოკავშირეთა ჯარებმა დასტოვეს ბრძოლების შემდეგ ოთხი დღის წინათ.

ეპინალის ჩრდილო-აღმოსავლეთით მოკავშირეთა ჯარების შეტევა შენელდა იმის გამო, რომ მტერმა გააძლიერა წინააღმდეგობა.

მძიმე ბომბდამშენთა მეტად დიდი შენაერთები ავიაგამანადგურებელთა თანხლებით დღისით თავს დაესხნენ ესენს და სინთეზური საწვავის ქარხანას ხომბურგში. 1.200-ზე მეტი მძიმე ბომბდამშენი დაახლოებით 500 ავიაგამანადგურებლის თანხლებით დღისით თავს დაესხა რკინიგზის დეპოს ჰამში, ნავთსაწმენდ ქარხანას ჰამბურგის რაიონში და სხვა სამხედრო ობიექტებს ჩრდილო-დასავლეთ გერმანიაში.

## საომარი მოქმედების ხმელთაშუა ზღვის ასპარეზზე

**ლონდონი,** 25 ოქტომბერი. (საკდესი). საომარი ოპერაციების ხმელთაშუა ზღვის ასპარეზზე მოქმედი მოკავშირეთა შეიარაღებული ძალების შტაბი იუწყება, რომ საბერძნეთში მოკავშირეთა მოწინავე ნაწილები დომოკოსში შევიდნენ. გერმანელთა ჯარებმა ვოლოსისაკენ დაიხიეს. უკანდახევისას მათ მძიმე ზარალი განიცადეს პარტიზანთა მოქმედებისაგან. პირეიში მოკავშირეთა ჯარების ახალი ნაწილები გადასხდნენ.

იტალიაში მე-5 არმიის ნაწილებმა მოწინააღმდეგეს სერიოზული ზარალი მიაყენეს. მოკავშირეებმა ხელთ იგდეს მაღლობი ბელ მონტე. მონტე გრანდეს აღმოსავლეთით მე-5 არმიის ამერიკელთა ნაწილები გაფთრებულ ბრძოლას ეწეოდნენ დიდმნიშვნელოვანი მაღლობისათვის, რომელიც ბოლონია-რიმინის გზატკეცილიდან 5 მილზე მდებარეობს. მარჯვენა ფლანგზე დაკავებულია მაღლობი მონტე სპადური.

მე-8 არმიის ნაწილებმა სძლიეს მტრის წინააღმდეგობა მდინარე სავიოს აღმოსავლეთ ნაპირზე. ხიდწინა სიმაგრე ჩეზენის რაიონში ძლიერ გაფართოებულია და ინგლისის ქვეითი ჯარი, რომელსაც ტანკები ეხმარებიან, მდინარე ბევანოს მიადგა.

მოკავშირეთა ავიაცია ძლიერ დახმარებას უწევდა სახმელეთო ჯარებს ბოლონიისა და ჩეზენის რაიონში, აგრეთვე თავს ესხმოდა მტრის გემებს ადრიატიკის ზღვაში და მოწინააღმდეგის ობიექტებს ალბანეთსა და იუგოსლავიაში.

**ლონდონი,** 26 ოქტომბერი. (საკდესი). საომარი ოპერაციების ხმელთაშუა ზღვის ასპარეზზე მოქმედი მოკავშირეთა შეიარაღებული ძალების შტაბის ცნობაში ნათქვამია, რომ 23 ოქტომბერს განთიადისას მოკავშირეთა ჯარებმა, რომელნიც გადასხდნენ ინგლისის სამხედრო ხომალდ „ტიზერიდან“ და საბერძნეთის ნაღმოსან „ნავარინონიდან“, დაიკავეს სკოპელოსის კუნძული (ჩრდილოეთ სპორადის კუნძულები ეგეოსის ზღვაში).

იტალიაში მოკავშირეთა მე-5 არმიის ნაწილები, მიუხედავად მტრის შეუნელებელი წინააღმდეგობისა, განაგრძობდნენ წინსვლას ნელა, მაგრამ შეუპოვრად. მე-8 არმიის ნაწილებმა სწრაფად წინ წაიწიეს ჩეზენთან მდებარე თავიანთი ხიდწინა სიმაგრიდან, სოლივით შეიჭრნენ მტრის განლაგებაში და გადალახეს მდინარე ბევანო. ამ მდინარის დასავლეთით მოკავშირეთა ჯარებმა დაიკავეს ქალაქი ფორლიმპოპოლი და მიადგნენ მდინარე რონკოს.

საბერძნეთში პარტიზანულმა რაზმებმა დაიკავეს ქალაქი ლარისა. მოკავშირეთა ჯარები, რომლებსაც პარტიზანებთან მჭიდრო თანამოქმედება აქვთ, ჩრდილოეთისაკენ მიიწევენ.

მოკავშირეთა ხმელთაშუა ზღვის ავიაციამ 400-ზე მეტი თვითმფრინავ-გაფრენა მოახდინა.

## საზღვაო ბრძოლა ამერიკისა და იაპონიის ფლოტებს შორის ფილიპინების აღმოსავლეთით

**ლონდონი,** 25 ოქტომბერი. (საკდესი). როგორც რეიტერის სააგენტო გადმოგვცემს, ამერიკის შეერთებული შტატების წყნარი ოკეანის ფლოტის შტაბმა გამოაცხადა, რომ ამერიკის თვითმფრინავებმა, რომლებსაც ბაზა ავიონსნებზე აქვთ, ფილიპინების რაიონში მომხდარი ბრძოლის დროს ჩასძირეს იაპონელთა ერთი ავიონსანი, დააზიანეს ორი დიდი სხვა ავიონსანი და ხუთი თუ ექვსი სამხედრო ხომალდი, მათ შორის ერთი კრეისერი.

ამერიკის ფლოტმა დაჰკარგა ავიონსანი „პრინსტონი“. ავიონსნის კაპიტანი და 1.360 ოფიცერი და მატროსი გადარჩენილია.

## ომის დამნაშავეთა მომავალი გასამართლება ბულგარეთში

**სოფია,** 23 ოქტომბერი. (საკდესი). ბულგარეთის დეპეშათა სააგენტო გადმოგვცემს ბულგარული გაზეთების ცნობას იმის შესახებ, რომ სოფიის რაიონის სახალხო ტრიბუნალი გაასამართლებს 659 კაცს ფაშისტური საქმიანობისა და დანაშაულთათვის, რაც მათ მიერ ჩადენილია დიქტატორული რეჟიმების პერიოდში. ბრალდებულთა შორის არიან 19 ყოფილი მინისტრი, პარლამენტის 107 დეპუტატი, სამეურნეო დაწესებულებათა 72 მოსამსახურე, 342 კაცი, რომელთაც ფაშისტური დანაშაულებანი ბრალდებათ, გესტაპოს 51 თანამშრომელი, პრესისა და ხელოვნების 49 წარმომადგენელი და 9 კაცი, რომელთაც ებრაელთა დევნა ბრალდებათ.

## გერმანიაში გრძელდება უმაღლეს სასწავლებელთა ქსელის ლიკვიდაცია

**ჟენევა,** 24 ოქტომბერი. (საკდესი). ჰიტლერელი ხელისუფალნი, „ტოტალური მობილიზაციის“ ჩატარების წესით, განაგრძობენ გერმანიაში უმაღლეს სასწავლებელთა ქსელის ლიკვიდაციას.

გერმანიის ფაშისტურმა სააგენტომ—გერმანიის საინფორმაციო ბიურომ გადასცა გერმანიის განათლების სამინისტროს განკარგულება, რომელშიც ნათქვამია ჯერ კიდევ მოქმედი უმაღლესი სასწავლებლების მუშაობის მოცულობის შემცირების შესახებ. ამ სასწავლებლებში „მეცადინეობა 1944-45 წლის ზამთრის სემესტრში გაგრძელდება მხოლოდ იმ მოცულობით, რაც საჭიროა მოსწავლეთა კონტინგენტებისათვის, რომლებიც კიდევ განაგრძობენ სწავლას. განთავისუფლებული შტატები, სადგომები და მასალები გამოყენებულ იქნება ომის საჭიროებისათვის“.

შემდეგ გერმანიის სამინისტროს განკარგულებაში ნათქვამია: „იხურება კიდევ ხუთი სპეციალური სასწავლებელი და 77 ფაკულტეტი. 12 ფაკულტეტზე სწავლა შესწყდება ზამთრის სემესტრის დამთავრების შემდეგ. 38 ფაკულტეტზე მუშაობა გაგრძელდება მხოლოდ უფროსი კურსების სტუდენტებთან“.

## დამარცხების მომხრეობის განწყობილება გერმანიაში

**სტოკჰოლმი,** 26 ოქტომბერი. (საკდესი). ჰიტლერულ გაზეთებში სულ უფრო და უფრო ხშირად ქვეყნდება ცნობები „დამარცხების მომხრეობისა“ და „ანტისახელმწიფოებრივი აზრებისათვის“ სიკვდილით დასჯის შესახებ. მაგალითად, ჰიტლერულმა გაზეთმა „ლუბეკერ ფოლკსბოტემ“ 18 ოქტომბერს ცნობა გამოაქვეყნა, რომ „ვინმე ლაიფციგელმა 62 წლის რიჰარდ პაიკერტმა, რომელმაც წინათ უკვე მიიღო გაფრთხილება ანტისახელმწიფოებრივი აზრების გამოთქმისათვის, კინოში სეანსის დროს ლაპარაკი გამართა უცნობ ქალთან და განუცხადა მას ამ ქალის 14 წლის ვაჟის თანდასწრებით, მე გერმანიას დამარცხებას უსურვებო. ამასთან პაიკერტი ისე ხმამაღლა ლაპარაკობდა, რომ მისი ნათქვამი სხვა მაყურებელთაც ესმოდათ“.

გაზეთი იუწყება, რომ პაიკერტს სიკვდილით დასჯის განაჩენი გამოუტანეს.

## რუმინელ ომის დამნაშავეთა დაპატიმრება

**ბუქარესტი,** 24 ოქტომბერი. (საკდესი). ომის დამნაშავეთაგან, რომლებმაც სახელი გაიტეხეს მშვიდობიანი საბჭოთა მოსახლეობის მოსპობით, ძარცვა-გლეჯითა და სხვა დანაშაულით რუმინელების მიერ დროებით ოკუპირებულ საბჭოთა ტერიტორიაზე, მოკავშირეთა საკონტროლო კომისიის მოთხოვნით დაპატიმრებულია 23 კაცი. მათ შორის არიან მთელი რიგი ყოფილი მაღალი თანამდებობის პირნი: შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე და ჟანდარმერიის შეფი გენერალი ვასილიუ, ყოფილი სამოქალაქო გუბერნატორი—გენერალი პოტოპიანუ, რუმინეთის 24-ე ქვეითი დივიზიის მეთაური გენერალი ნასტა, 21-ე ქვეითი დივიზიის მეთაური გენერალი ტრენკუ-ატანასი, ქ. ოდესის პრიმარის (ქალაქის უფროსის) ყოფილი მოადგილე ვიდრაშკუ და მთელი რიგი სხვა მოხელეები პოლიციისა და რუმინელთა საოკუპაციო აპარატისა.

დაპატიმრებულთა შორის არიან „კულტურის“ ისეთი მოღვაწეები, როგორც პროფესორი რანტია, რუმინული თეატრის დირექტორი მაიკაპ აურელი, არქიტექტორები იონესკუ და ტუდორესკუ, რომელთა „კულტურულ-საგანმანათლებლო მოღვაწეობა“ მდგომარეობდა საბჭოთა უკრაინის კულტურულ დაწესებულებათა ძარცვისა და მოსპობის მოწყობაში.

## ფრანგული გაზეთები ესპანეთის ამბების შესახებ

**პარიზი,** 26 ოქტომბერი. (საკდესი). გაზეთები „პოპიულერი“ და „კომბა“ მნიშვნელოვან ადგილს უთმობენ ესპანეთის ამბებს. „პოპიულერს“ მოჰყავს ცნობა საფრანგეთ-ესპანეთის საზღვარზე მყოფი თავისი კორესპონდენტისა, რომელიც სწერს: „ფრანკომ პირენეის საზღვარზე განალაგა 20-მდე დივიზია. ლერიდაში ესპანეთის პარტიზანული მოძრაობა, რომელშიც გაერთიანებულია 20.000-მდე კაცი, დღითიდღე ძლიერდება. 100.000-მდე პატრიოტი მოუთმენლად ელის მომენტს, რათა მოქმედებას შეუდგეს. ადვილსავნებ პუნქტს წარმოადგენს კატალონია, რომლისკენაც ფრანკოს ყურადღებით აქვს მიპყრობილი თვალი. მე-2 დივიზია, რომელიც ესპანეთის მაროკოში იმყოფება, გაიგზავნა ან გაიგზავნება კატალონიაში. ხმებია, რომ კატალონიაში გაიგზავნება აგრეთვე მაროკოელ ლეგიონერთა მნიშვნელოვანი კონტინგენტი“.

იმავე გაზეთში მოთავსებულია მარსელ ბიდუს სტატია; იგ სწერს, რომ ფრანკო უკვე მსჯავრდადებულია იმით, რომ „რესპუბლიკელი მუშები მტრულად არიან განწყობილი დიქტატორული რეჟიმისადმი“.

ეროვნული ბიბლიოთეკ

ბელორუსიის ოკუპაციის დროს გოგონები პარტიზანულ რაზმებში იბრძოდნენ გერმანელ ფაშისტ დამპყრობთა წინააღმდეგ. ახლა ახალგაზრდები კვლავ საკლასო მერხებს მოუსხდნენ და სწავლას განაგრძობენ. სურათზე: ყოფილი პარტიზანები, მინსკის მე-12 ქალთა სკოლის მე-9 კლასის მოსწავლეები გაკვეთილზე. სხედან მარჯვნიდან მარცხნივ — ტ. სუშკოვა, ზ. პურკო და მ. ვორონიჩი.

ფოტო ლუპეიკასი (საკდესის ფოტოქრონიკა).

## 100.000 მანეთი პრემია ამიერ-კავკასიის მეტალურგიული კომბინატის მშენებლობის კოლექტივს

შინსახკომის ამიერ-კავკასიის მეტალურგიული კომბინატის მშენებლობის კოლექტივმა, რომელიც მონაწილეობს სრულიად-საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში, სამუშაოთა წარმოების სექტემბრის გეგმა 128,7 პროცენტით შეასრულა, ხოლო იმ სამუშაოთა გეგმა, რომლებიც სამეურნეო წესით კეთდება—135 პროცენტით. თვითეული მშენებელი მუშის შრომის საშუალო ნაყოფიერებამ 107,3 პროცენტს მიაღწია.

მშენებლობის კოლექტივმა გეგმები უ სხვა მაჩვენებლების მიხედვითაც შეასრულ

პროფკავშირთა სრულიად-საკავშირო ცე ტრალურმა საბჭომ და სამრეწველო მშენე ლობის მთავარმა სამმართველომ განიხილ სსრ კავშირის შინსახკომის მშენებლობა შორის სოციალისტური შეჯიბრების სექტე ბრის შედეგები და ამიერ-კავკასიის მეტ ლურგიული კომბინატის მშენებლობის კოლე ტივს მიანიჭეს მესამე ადგილი და 100,00 მანეთი პრემია.

## ძვირფასი ვიტამინიანი მცენარე

საქართველოს სს რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის ბოტანიკური ინსტიტუტის უფროსმა მეცნიერმა მუშაკებმა ამხ. ჯაფარიძემ და კეზელმა, გამოარკვიეს, რომ ფურისულა (პრიმულა) წარმოადგენს ძვირფას ვიტამინიან მცენარეს. მისი ერთი კილოგრამი ნორჩი ფოთოლი შეიცავს 17,5 გრამ „C“ ვიტამინს, ხოლო ერთი კილოგრამი მისი მოხარშული ფოთოლი სავსებით საკმარისია იმისათვის, რომ დააკმაყოფილოს 200 კაცის დღიუ მოთხოვნილება „C“ ვიტამინზე.

ეს მცენარე ფართოდ გავრცელებულია ს ქართველოში, იზრდება ყველგან ტყეში ბუჩქნარში.

მცენარის შესწავლის მასალები გად კვების მრეწველობას წარმოებაში გამოსაყ ნებლად. (საქდესი).

## ახალი წიგნები

### ვ. გაფრინდაშვილის ლექსები

გამოვიდა ვ. გაფრინდაშვილის ლექსების კრებული, რომელშიც მოთავსებულია პოეტის მიერ სიცოცხლის უკანასკნელ წლებში დაწერილი 82 ლექსი.

წიგნს დართული აქვს ლ. ასათიანის მოკლე წინასიტყვაობა ვ. გაფრინდაშვილის ცხოვრებისა და შემოქმედების შესახებ და თვით ვ. გაფრინდაშვილის ავტობიოგრაფიული ჩანაწერი.

წიგნი, რომელიც გამოსცა „საბჭოთა მწერალმა“, შეიცავს 74 გვერდს და ღირს 23 მანეთი.

### „სისუფთავე ჯანმრთელობაა“

სამედიცინო გამომცემლობამ ბავშვებისათვის გამოსცა პლაკატი-წიგნი „სისუფთავე ჯანმრთელობაა“. ნახატები ვ. კლაძეს ეკუთვნის, ტექსტი (ლექსად)—დ. გაჩეჩილაძეს. წიგნი ფერადი საღებავებით არის დაბეჭდილი და ღირს 5 მანეთი.

## მოხსენება

29 ოქტომბერს, დღის 1 საათზე საქართველოს გეოგრაფიული საზოგადოების სხდომათა დარბაზში (ლ. კეცხოველის ქუჩა, № 11) აკად. ნ. ნ. კეცხოველი წაიკითხავს მოხსენებას თემაზე: „აკადემიკოს ვ. ლ. კომაროვის ცხოვრება და მოღვაწეობა“.

დასწრება თავისუფალია.

## სოფიო უსეინაშვილის ხსოვნას

25 ოქტომბერს მძიმე ავადმყოფობის შე დეგ გარდაიცვალა პირველი ტრაქტორის ქალი საქართველოში სოფიო გიორგის-ასუ უსეინაშვილი.

ამხ. ს. უსეინაშვილი 1936 წლიდან მ შაობდა სიღნაღის რაიონის ულიანოვკ მტს-ის ტრაქტორისტად. იგი საუკეთეს იყო დაუფლებული ტრაქტორის მართ ტექნიკას და სტახანოვური შრომით დ წარმატებებს აღწევდა. ამავე დროს მან მრა ვალი ახალგაზრდა ტრაქტორისტი აღზარდა.

სამამულო ომის დაწყებისთანავე სოფი უსეინაშვილმა ფრონტზე გაისტუმრა თავი ვაჟი, და პირობა მისცა, რომ ტრაქტორი იმუშავებდა გაორკეცებული ენერგიით, ყო ველმხრივ დაეხმარებოდა გმირ წითელ არ მიას საძულველ მტერზე გამარჯვებისათვი ეს პირობა მგზნებარე პატრიოტმა ქალ პირნათლად შეასრულა. თავისი ტრაქტორი წელს მოსავლის აღების გეგმას ორმაგად გა დააჭარბა.

ამხ. სოფიოს დაუღალავი მუშაობა სათან დოდ დააფასა ჩვენმა პარტიამ და მთავრობ ამხ. უსეინაშვილი წელს დაჯილდოებულ იქ ლენინის ორდენით.

წარჩინებული ტრაქტორისტის, საბჭოთ პატრიოტის სოფიო უსეინაშვილის ხსოვნა ს მუდამოდ დარჩება საქართველოს სოფლ მეურნეობის მუშაკთა შორის.

ს. ხოშტარია, მ. ალავერდაშვილი, გ. ალავიძე, შ. ალაპიშვილი, ლ. მაზიაშვი ლი, ვ. კანაშვილი, მ. ჯახუტაშვილ ი. ლომთაძე.

## თეატრებში

**27 ოქტომბერს:** სახელმწიფო ოპერა — „ტრავიატა“. რუსთაველის სახელობის—„საპატარძლო აფიშით“. მარჯანიშვილის სახელობის—„პირველი ცოლის მორჩილება“. გრიბოედოვის სახელობის — „საგანგებო კანონი“. სომხური—„სომხის ქალი“. ახუნდოვის სახელობის—„ასლი და ქერიმი“. მუსიკალური კომედიის—„მზის დაბნელება საქართველოში“. მოზარდ მაყურებელთა ქართული—„გაიდარი“, რუსული—„ოქროს გასაღები“.

## კინოებში

**27 ოქტომბერს:** რუსთაველის სახელობ —„ზოია“, ოქტომბერი—„გრიგალი“, დამკვრ ლი—„ჯორჯი დინკი—ჯაზიდან“, კომკავშ რელი—„უმზითვო პატარძალი“, სპარტაკი „მზიური ველის სერენადა“, ლუქსემბურგ სახელობის — „მასწავლებელი“, 26 კომისრ სახელობის—„ვოლგა-ვოლგა“, მეცნიერება ცოდნა — „შვიდი მამაცი“.

პასუხისმგებელი რედაქტორი
ბ. ნანიტაშვილი

საქართველოს სსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატი იუწყება სიღნაღის რაიონის ულიანოვკის მტს-ის მოწინავე ტრაქტორისტის
სოფიო გიორგის-ასულ **უსეინაშვილის**
გარდაცვალებას.

თინა და ვახტანგ მენთეშაშვილები, ნადია და გოგლა ველიჯანაშვილები დედით ევგენიათი იუწყებიან ვლადიმერ გიორგის-ძე ტრაპაიძის გარდაცვალებას. პანაშვიდი 27, 28/X, 7 ს. ხევსურეთის, 4.

თბილისის მე-8 ვაჟთა საშუალო სკოლის პედპერსონალი იუწყება მ. სიხარულიძის ბიძის პავლიკ კოლესნიკოვის გარდაცვალებას.

საქართველოს სსრ ჯანსახკომის მიკრობიოლოგიის, ეპიდემიოლოგიისა და ბაქტერიოფაგის ინსტიტუტის თანამშრომლები იუწყებიან ექიმ მ. საყვარელიძის მამის ალექსი საყვარელიძის გარდაცვალებას.

შვილები ეკატერინე, ნადია, თამარ, ვასილ, ნიკოლოზ, სიძე, რძლები და შვილიშვილები იუწყებიან ივანე სოლომონის-ძე კვალიაშვილის გარდაცვალებას.

მარიკა და ნუნუ თოფურიები შვილებით იუწყებიან მამიდაშვილის ვლადიმერ გიორგის-ძე ტრაპაიძის გარდაცვალებას. გამოსვენება 29/X, 3 ს. ხევსურეთის, 4.

**დაკარგულია** სოფელ კუმისის ლ. პ. ბერიას სახელობის კოლმეურნეობის მრგვალი ბეჭედი. ჩ. გ.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიოლოგიის ფაკულტეტის II კურსის სტუდენტები იუწყებიან ჟულიეტა კილტავას დის ლილის გარდაცვალებას. გამოსვენება 29/X, 6 ს. ბრძოლის შეს. 15.

მეუღლე ელისო, შვილები ელენე, სამუელ, შალვა, ნუგზარ, რძლები ვერა, მატია, შვილიშვილი მერი იუწყებიან ლუკა [illegible]-ძე მჟავანაძის გარდაცვალებას.

მეუღლე კატო, შვილები ჟენია, ელენე, ოთარ, სიძე კოლია ბერაძე, დები ნადია წულუკიძე ქმარ-შვილით, ნინო შერვაშიძე, ოლია დიდია იუწყებიან, რომ 29/X, 2 ს. კუკიის სასაფლაოზე დანიშნულია მიხეილ თომას-ძე დიდიას პანაშვიდი.

მრევლიშვილების ოჯახი იუწყება საპატიო აკადემიკოს ვ. ვ. ვორონინის მეუღლის ლეონილა ბორისის-ასულ ვორონინას გარდაცვალებას. გამოსვენება 27/X, 3 ს. ქალაქის I საავადმყოფოდან.

მეუღლე გალინა, შვილები ქსენია, ოთარ, ძმა კალისტრატე ცოლ-შვილით იუწყებიან, რომ 29/X, 2 ს. კუკიის სასაფლაოზე დანიშნულია ანთიმოზ რაჟდენის-ძე ცხვირაშვილის პანაშვიდი.

მეუღლე მატრონა, შვილები ანა გომართელისა, მარგარიტა კორძახიასი ქმარ-შვილით იუწყებიან ალექსი იოსების-ძე საყვარელიძის გარდაცვალებას. დაკრძალვა 29/X

**დაკარგულია** თბილისის ქალთა მე- სკოლის მრგვალი ბეჭედი. ჩ.გ.

რედაქციის მისამართი: თბილისი, ლენინის ქუჩა № 28. ტელეფონები: პასუხისმგებელი რედაქტორის მოადგილის—3-63-03, პასუხისმგებელი მდივნის—3-08-67, სამდივნოს—3-06-88, განყოფილებებისა: პარტიული ცხოვრებისა და პარტიული პროპაგანდის — 3-81-84, კომკავშირული ცხოვრებისა და მშრომელთა წერილების—3-73-24, სასოფლო-სამეურნეო და სამრეწველო - სატრანსპორტო—3-80-83, სამხედრო, ლიტერატურისა—3-80-84, მორიგისა და გამომშვების—3-81-65, გამომცემლობის—3-51-81, სტამბის დირექტორის—3-77-70.

ლ. პ. ბერიას სახელობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი“, თბილისი, ლენინის ქ. № 28, ტირაჟი 91,800 უე 079 17